ქართული აზრი
GEORGIAN OPINION

№ 53 - 54 ნიუ-იორკი, თებერვალი 1963 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, FEBRUARY 1963

„ოჰ, ეგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

„არც სიცოცხლის, არც სიკვდილის
აღარა მაქვს ხალისი,
თებერვალმა დამიზამთრა
სამუდამოთ მაისი“.

კოტე მაყაშვილი.

„და ერის ტანჯვის გამომხატველი,
იზრდება გულში დიდი ნაღველის
ორი მწვერვალი:— კრწანისის
ველი და თებერვალი“:

ალ. აბაშელი.

„და ჩვენ ისე შევეჩვიეთ,
ჩვენ საკუთარ ფერსა და ხმას,
რომ ვერასდროს ვერ გაფლენთ
გამარჯვებულ რუსის ჩექმას“.

ი. გრიშაშვილი.

„...ოჰ! დედა ჩემო,
რათ არ მითხარი, რათ არ ვიცოდი,
რომ ჩემთან ერთად, ემაგ ძუძუთი
ჩემსა გამყიდველ იუდას ზრდიდი“.

ი. მჭედლიშვილი.

ნიუ-იორკი, თებერვალი 1963 წ.

ორმოცდა ორი წელიწადი გვშორავს იმ დღეს, როდესაც რუსეთმა კვლავ წარგვტაცა ერთ ენული თავისუფლება და ჩვენი სამშობლო კვლავ თავის საკუთრებად გამოაცხადა.

უცხოეთში გაბნეული ქართული ემიგრაცია 42-ჯერ იყრის თავს, რათა თაყვანისცეს საქართველოს დამოუკიდებლობის ფუძემდებლებს და სამშობლოს უზენაესობის იდეებში ჩაფერფლილ მამულიშვილებს.

42 წელიწადი დიდი მანძილია... მთელი ეპოქაა... ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. კინემატოგრაფიული სისწრაფით წარმოშობილ და განვითარებულ მოვლენებს თვით ფხიზელი გონების ადამიანიც კი ძლივსა სჯერებს...

ამ ხნის განმავლობაში გამოიცვალა თვით გეოგრაფიული რუკაც. ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ბელგიის და სხ., გუშინდელი კოლონიები, დღეს სრულიად დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებია. გუშინდელი მპყრობელი: დღეს ძმური და მეგობრული მრჩეველი. დამხმარე და ხელისშემწყობია ახლად წარმოშობილ ეროვნულ ერთიულების ეროვნულ მისწრაფების განსახორციელებლად.

უცვლელი დარჩა მხოლოდ რუსული იმპერიალიზმის ბუნება, წესი და ზნე და მისი მსოფლიოში გაბატონების სურვილი.

აგრეთვე უცვლელი დარჩა საქართველოს ბედ-ბედ ენბისყოფა, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“ და საქართველოს ბედი თბილისში უნდა იქედებოდეს და არა მოსკოვში. ეს გადაიქცა ყოველი ქართველის უპირველეს და გადაუდებელ ამოცანად.

42 წლის მანძილს წითელ ზოლათა სდევს ქართულ-რუსულ ინტერესთა წინააღმდეგობა და ამ ნიადაგზე წარმოშობილი ხან აქტიური და ხან პასიური წინააღმდეგობა.

ურუკეი დარჩა რუსული იმპერიალიზმის ქართველი აგენტების ცდაც. რათა დამტკიცონ, რომ 1921 წ. თებერვალში ადგილი ჰქონდა არა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას, არამედ „შინაურ რევოლუციას“ ე. ი. „ქართველი მუშა და გლეხი აუჯანყდა ქართველ მემამულეს და კაპიტალისტს, განდევნა „ბურჟუაზიული მენშევიკური“ მთავრობა და მუშათა და გლეხთა დიქტატურა დაამყარეთ.

ორმოცდაორი წლის მანძილზე ამ დებულების გარშემო ტრიალებს რუსული პროპაგანდა, მაგრამ ვერ იქნა და ქართველი ერი ვერ დაიჯერა ამის საწყორეში.

საიდან წარმოიშვა ეს იდეა და რატომ დასჭირდა დამპყრობელ და გამარჯვებულ რუსეთს დაპყრობილი და განიარაღებული ქართველებისათვის ეს აფსოლუი შეექმნა? რაში დასჭირდა თავის მართლება?

ამის განმარტებას ვპოულობთ ლენინის წერილში. რომელიც მას 1921 წ. აპრილის 18-ს ქართველ კომუნისტებისათვის გაუგზავნია. იქ ვკითხულობთ: „საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით სსტიჯი კომპანია სწარმოებს დასავლეთ ევროპაში რუსეთის წინააღმდეგ. საჭიროა საქართველოს რევკომმა ენერგიული კონტრპროპაგანდა ჩაატაროს და დამტკიცოს საბჭოთა რუსეთის კეთილგანწყობილება საქართველოს მიმართ და რომ ქართველმა მუშებმა და გლეხებმა დაამხეს ბურჟუაზიული მთავრობა“-ო.

აი ძველი, რომელსაც ლენინან რუსული იმპერიალიზმის ქართველი აგენტები 42 წლის განმავლობაში და ორმოცდაორჯერ სხვა და სხვა ვერსიით იმეორებენ. შეიძლება ახალმა თაობამ არც იცის სინამდვილის ნამდვილი ვითარება და ზოგმა მართლა იფიქროს, რომ იქნება ქართველი მუშის და გლეხის მდგომარეობა იმდენათ უმჯობესი იყო. რომ მართლა მოელ ოდენენ „კლასიური მეგობრებისგან“ ხსნას და შველას?

ამიტომ ჩვენ შევეცდებით მეტი ამონაწერები მოვიყვანოთ თვით კომუნიზმის იმ დროინდელი ლიდერების ოფიციალური განცხადებებიდან.

ლენინის ამ ბრძანებას, უპირველეს ყოვლისა ორჯონიკიძე გამოეხმაურა. იმ დროს ის ითვლებოდა ამიერკავკასიაში მოსკოვის საიმედო პირად. მან ვრცელი მიმოხილვა გააკეთა ქართველი „პროლეტარიატის“ მდგომარეობა ზე და დაასკვნა, რომ: „ამ ტრაღიკულ ბედში მცხოვრებთა აუჯანყებლობა შეუძლებელი იყო და აჯანყდა კიდეც. რუსეთის წითელი არმია აქ მხოლოდ აჯანყებული მუშის დასახმარებლად მოვიდა“-ო. ორჯონიკიძე ამ სიყალბის მტკიცებას ისე გაუტაცებია, რომ უფრო შორს მიდის და აცხადებს: „ჩაგრულთა დამცველი წითელი არმიის გამოჩენამ საქართველოს ტერიტორიაზე დიდი აღფრთოვანება გამოიწვია“-ო. ორჯონიკიძეს პირველი ცნობით აჯანყება დაწყებულა ბორჩალოს მაზრაში და „შემდეგ თვით საქართველოს ტერიტორიაზე „შემდეგ თვით საქართველოს ტერიტორიაზე გადავიდა“. „შიმშილით და საქართველოს მთა ერობის ძალადობით გაწამებული საქართველოს მშრომელები აჯანყდნენ ბურჟუაზიის აღვირახსნილი ღრეობის წინააღმდეგ... აჯანყებულებმა ძმური დახმარებისათვის მიმართეს წითელ არმიას, რომელიც დაუყონებლივ გამოეხმაურა“-ო და სხ... (იხ. ს. ორჯონიკიძე. სტატიები და სიტყვები ორ ტომად. ორჯონიკიძე ყოველი ციტატა, თუ ცალკე არ იქნება წყარო აღნიშნული, ამოღებულია დასახელებული წიგნიდან).

ცხადია, ამას თანა სდევს საგაზეთო პროპაგანდა, რომლის ამოწერა, ან მასზე აუოზადღებს შეჩერება არა ღირს, რადგან ეს ერთი და იგივეს განმეორება იქნება. აქედან გამონაკლის მხოლოდ ბერია წარმოადგენს, რომელსაც აღარ დაუნახია საჭიროდ ძველი ლათაიების გამეორება, „ქართველი მუშის და პროლეტარიატ“ აჯანყების მტკიცება და საქართველოს დაპყრობის 35-ტე წლისთავზე აცხადებს, რომ: „1921 წ. თებერვალში რუსეთის წითელი არმია ის დახმარებით განთავისუფლდა საქართველო მენშევიკური ბატონობისაგან და იქ დამყარდა საბჭოთა დიკტატურაო“. (იხ. იზვესტია. თებერვლის 25, 1936 წ.)

„აკადემიკოსი“ ხაჭაპურიძე უფრო შორს მიდის და გვიმტკიცებს, რომ საქართველოს მთავრობა თვით უპირებდა აზერბეიჯან-სასომხეთში მდგარ რუსული ჯარის ნაწილებს თავდასხმას და სისტემატიურად არღვევდა 1920 წ. შეიდი მაისის ხელშეკრულებას და 1920 წლის დამლევისათვის „ის კიდეც გაუქმებული იყო მენშევიკების მიერო“. „ქართველი მხედრობა პროვოკაციულად მოქმედებდა 11-ტე არმიის მიმართ და წითელ და ფოილოს ხიდ შორის აზერბეიჯანის საზღვარზე მდგარ წითელ ჯარს ესროდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯარმაო“ (ხაჭაპურიძეს ყოველი ციტატა ამოღებულია მისი წიგნიდან: „ბოლშევიკი გრუზინ ვ ბოიიან ზა პობედუ სოვეტსკოი ვლასტი“ სახელმწიფო გამომცემლობა 1951წ.)

ხაჭაპურიძეს მტკიცებით საქართველოს მთავრობა უწყალოდ სდევნიდა კომუნისტებს და „1921 წლის ინვარისთვის დატუსაღებულთა რიცხვი ყოფილა: თბილისში—ასამდე, ქუთაისის საკატორღო ციხეში—ორასზე მეტი და სხვა ციხეებში ასამდე. მგვარად 400-ზე მეტი პარტიული ამხანაგი იჯდა ციხეში“-ო, ასკვნის „ამხანაგი აკადემიკოსი“ და აგრძელებს: „მენშევიკები იარაღდებოდნენ. მათი ჯარი მზათ იყო ბრძოლისათვის. 1920 წლის დეკემბრის 12-ს ქართველ კომუნისტების განცხადებაში ნათქვამია: თბილისის გარნიზონი დღე და ღამ ფეხზე დგა, ჯავშნოსანი ავტომობილები მზად არიან, ჯავშნოსანი მატარებლები მოძრაობაშია. ქალაქის რაიონები ღამე პროკეკტორებით ნათლდება... და სხ.“

ხაჭაპურიძეს რწმუნებინთ, საქართველოს სამარ სამზადის რუსეთზე თავდასასხმელად ზედ ერთვის საქართველო-სომხეთის ხელშეკრულებით „სომხეთის ტერიტორიაზე“ ქართული ჯარის ყოფნის სწორედ 1921 წ. თებერვლის 11-ყალის გასვლა. საქართველოს პირობა არ შეუსრულებია და „სომხების“ ტერიტორიიდან ჯარი არ გაუყვანია. უსარგებლია რა ამ და სხვა მსგავსი მოვლენებით და გაუთვალისწინებია შინაური, თუ საგარეო პირობები, „კომუნისტური პარტიის სამხარეო კომიტეტის სახელით ორჯონიკიძე ბრძანებას აძლევს ქართველ კომუნისტებს შეიარაღებული აჯანყების მოსახდენად. აჯანყების დღეთ დანიშნა 1921 წ. თებერვლის 11-დან 12 ღამე. პირველ დღესვე სამი ათასი ჯარისკაცი ჩაბარდა აჯანყებულებსო“. „ყაზბეგის მხარეზე სამხრეთით აჯანყდნენ მთის ქართველები, აჯანყდნენ ბორჩალოს, დუშეთის, ჯორის, რაჭის და ლეჩხუმის მშრომელები. აჯანყების ალში გაეხვია სამეგრელო, გურია, აჭარა, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი“.

თუ ხაჭაპურიძეს დაუჯერებ აჯანყებულა მთელი საქართველო და ქართული ჯარი ყოველგვარი წინაალმდეგობის გარეშე ბარდებოდა აჯანყებულებს! მაგრამ მაინც აჯანყებულებს საჭიროთ დაუნახავთ, რომ დახმარება ეთხოვათ „ძმურ წითელ არმიისათვის“, რაც დაუყონელბივ მიუღიათ.

ხაჭაპურიძესავე ცნობით 11-ტე არმიამ და 18-ტე კავკასიურმა დივიზიამ შეუტია სომხეთ აზერბეიჯანიდან, ელობას კავალერია და 13-ტე ფეხოსანი დივიზიის 98-ტე ბრიგადამ კი ვლადიკავკაზიდან მაბრძანონს ულტეტხილით“

საკითხავი: რიღასთვის შეაწუხეს „ძმური წითელი არმია“, თუ მთელი საქართველო აჯანყების ალში იყო გახვეული და ჯარიც აჯანყებულებს ნებაყოფლობით ბარდებოდა?

ან იქნება ვინმე ფიქრობს, რომ ეს შორეული წარსული ამბავია და დღეს ამ ზღაპრებს აღარ იმეორებენ!

ამისთანა დაეჭვებულებს ურჩევთ თვალი გადავავლონ აღ. ბერლინში სპეციალურად ემიგრანტებისათვის დაარსებულ გაზეთ „სამშობლოს ხმასი“ და კერძოთ „საქართველოს გასაბჭოების ორმოცი წლის თავზე“ ამავე გაზეთის სპეციალურ გამოცემას „სამშობლოს“. მაშინ ნათელი იქნება, რომ ლენინის მიერ ბოძებული დირეკტივა ეხლაც ძალაშია და რუსული იმპერიალიზმის ქართველი აგენტები კვლავ იმ ძველსა ღრღნიან.

ჩვენ უფრო ქვევით შევეცდებით დოკუმენტალურად დავამტკიცოთ ბოლშევიკური პროპაგანდის სიყალბე. ეხლა კი ერთხელ კიდევ უნდა გავიმეოროთ ქართველი კომუნისტების იმღროინდელი ლიდერის—ფ. მახარაძეს სიტყვები.

1921 წლის დეკემბრის 6-ს ფ.მახარაძეს მიერთმევია მოხსენება მოსკოვისათვის, სადაც აღწერილია საქართველოს მდგომარეობა და აცხადებს:

„სიმართლე უნდა ითქვას, რომ დასაწყისში თითქოს სწორი პოზიცია გვქონდა. ყოველ შემთხვევაში, სიტყვით მაინც ვამტკიცებდით, რომ საბჭოთა რუსეთი არაევითარ შემთხვევაში არ გაიუქმებს საქართველოს დამოუკიდებლობას და ყოველი არმია მხოლოდ იმისთვის მოვიდა, რომ ინტანტის იმპერიალისტური ბრბყალებისაგან იხსნას მშრომელი მასა...“

„ჩვენ ფუნდა ახლილად ვალიარეთ ფაკტი, რომ უკანასკნელ სამ-ოთხ წელიწადში ხალხი შესჩვეივა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეას...“

„თავიდანვე ჩამოყალიბდა მმართველობის რამოდენიმე ორგანო: ერთის მხრით ცენტრალური კომიტეტი (იგულისხმება კომუნისტური პარტიის) და რევკომი (ასე უწოდებდნენ იმ დროს მთავრობას), რომლებიც უმაღლეს ორგანოებათ ითვლებიან მხოლოდ ნომინალურად, მეორე მხრივ კი სამხარეო კომიტეტი და 11-ტე არმიის რევოლუციონური საბჭო, რომელიც ფაქტიური უმაღლესი ორგანოებია“.

„ეს უკანასკნელნი სწყვეტენ ყველა პოლიტიკურ საკითხებს საქართველოს ცაკისა და რევკომთან შეუთანხმებლად“.

„სახოგადოთ უნდა აღინიშნოს, რომ:

1. „წითელი არმიის შემოსვლამ საქართველოში და აქ საბჭოთა რეჟიმის გამოცხადებამ მიიღო აშკარა გარეშე ძალის დაპყრობის ხასიათი, ეინაიდან იმ დროს შინაურ აჯანყებაზე არავინ არა ფიქრობდა“.

2. „საბჭოთა რეჟიმის გამოცხადების დღეს საქართველოში არ აღმოჩნდა არამც თუ არც ერთი პარტიული იაჩეიკა, არამედ არც ერთი წევრი პარტიისა, რომელიც შესძლებდა ხელისუფლების ორგანიზაციის მოწყობას და ძალა უფლებას დაეპატრონნენ მეტად საეჭვო ხალხი. უმთავრეს შემთხვევაში კი უბრალოდ კრი მინალები“.

(ამ მოხსენების დედანი ინახება მოსკოვის ცენტრალური კომიტეტის არქივში. ასი გადაღებული და გამოქვეყნებულია 1922 წ.)

ცხადია, ფ. მახარაძეს ხმა ჩაწყვეტინეს, ეს მის ზნე და წესში შედიოდა. მაგრამ ამ პოზიციის გამზიარებელი ქართველი კომუნისტების სხვა ლიდერები, რომელთა მოთოკვა და მოთვინიერება ვერ მოახერხა მოსკოვმა, წუთი სოფელს გამოასალმეს.

ფ. მახარაძემ და ქართული კომუნიზმის პირველმა პლეადამ მტერთა და ნაცრად აქცია ორჯონიკიძე-ხაჭაპურიძეს და მათი ამყოლი რუსული იმპერიალიზმის ქართველი აგენტების „რუსეთის მიერ ქართველი მუშის და პროლეტარის განთავისუფლების“ დასაბუთების ცდა.

ეხლა გადავხედოთ, თუ როგორი „ენტუზიაზმით“ შეხვდა ქართველი ხალხი, ან ქართველი მუშა და გლეხი რუსეთის დამპყრობელ არ მიას?

ექვსი კვირა გაგრძელდა თავდაუზოგველი ბრძოლები. მარტის 18-ს, მთავრობა, დამფუძნებული კრების და პოლიტიკური პარტიების ლიდერები სტოვენენ საქართველოს. (გამონაკლისია მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელშაც ბათუმში დაადგინა: დარჩეს სამშობლოში და გაიზიაროს მისი ხვედრი.) როგორც ყოველი დამარცხებული ერი, სა ქართველოც გლოვის პროცესშია და უცდის საოკუპაციო ხელისუფლების პოზიციის გამომჟღავნებას.

რუსული ოკუპაცია, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა რკინისგზების, ფოსტა-ტელეგრაფის, ფინანსების და ეკონომიური პოლიტიკის გაერთიანებით. ამას მოჰყვა ქართველი მუშის უფლებების შეკვეცა და, თანდათანობით, მისი სამუშაოდან დათხოვნაც. როგორც „დამკომის“ წევრი იასონ ჯაკახიშვილი აცხადებდა გასამართლებაზე: თებერვალში ქართველი მუშა და გლეხი კი არ აუჯანყდა „ბენშევიკურ მთავრობას“ და არ განდევნა იგი, არამედ რუსმა და სომეხმა მუშამ განდევნა ქართველი მუშა და დაიკავა მისი ადგილი.

ორჯონიკიძე ეხება რა ამ მოვლენას აცხადებს: „ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ მუშებ შორის არ შეიძლება იყოს რაიმე ეროვნული განსხვავება. ავრიოთ ეროვნული საკითხი და მუშათა საკითხი, მივცეთ უპირატესობა ეროვნულ მომენტს და არა რევოლუციურ მომენტს... და სხ.“ (იხ. გვ. 427) აქ კომენტარიაც კი ზედმეტია... აშკარათ არის ნათქვამი, რომ ეროვნული მომენტები განდევნილია და როგორც საოკუპაციო ხელისუფლებასათვის არა საიმედო, ქართველი მუშა იდევნება და მათ ადგილს რუსი მუშა იჭერს.

ორჯონიკიძე ამავე მოხსენებაში ეხება ინტელიგენციის და კერძოთ მასწავლებლების საკითხს: „უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვინც ბავშვს წერა კითხვას ასწავლის... ამიტომ ჩვენ საკუთარი მასწავლებლები უნდა გვყავდეს“-ო მაგრამ დაასკვნის „როგორ შეიძლება გადმობირება მასწავლებლების... როგორი ურთიერთობა ექნება მას ჩვენთან, როდესაც დღეს იგი

შავი თეგერგალი.

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე).

დამშეულია... და სხ.“

ამავე მდგომარეობაშია სოფლის მეურნეობა და უფრო უარესში რელიგია. ბოლშევიზმი, უპირველეს ყოვლისა, სასულიერო ცენტრებს ეტაკა. საჭირო იყო დაეგნია ეროვნული კულტურის ძველთა უძველესი სავანე. საჭირო იყო საქართველოსათვის გამოეცალა ის საფუძველი, რომელზეც დაშენდა ჩვენი ეროვნული მთლიანობა და ჩვენი ეროვნული კულტურა. ორჯონიკიძე ცინიკურად აცხადებს: მღვდლები ნებაყოფლობით იკოიტებიან, ხოლო ვლეხები თავიანი სურვილით კატაევ ეკლესიებსო. „ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოში ანტირელიგიური პროპაგანდა გაშალა. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ კომპანიის შედეგები მოცეებს. არის მაზრები, (სენაკისა) არის ისეთი ადგილები, სადაც ერთ ეკლესიასაც კი ვერ შეხვდებთ; ეკლესიები იქ სკოლებათ და საავადმყოფოებად გადაკეთეს. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ ყოველი ქართველი ათეისტი გახდა; რაკი ეკლესიები დაიხურა. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ რელიგია მოისპო...

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობაზე ამხ. ვარამაშვილი გვიამბობდა: სიღნაღის მაზრაში დედათა მონასტერი არსებობდა. მონასტერი დავხურეთ და მონაზონთა ნახევარზე მეტი მაშინვე დათხოვდაო“. (ის. სტენოგრაფიული ანგარიში „ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების მეორე ყრილობა“ 19-23 მარტი 1923 წ.)

ცინიზმი ამაზე შორს ვეღარ წავა!

ვარამაშვილი აცხადებს „მონასტერი დავკეტეთო“, ე. ი. საოკუპაციო ხელისუფლებამ დაკეტა, ორჯონიკიძემ კი ეს ვლეხებზე გადაიტანა და „ნებაყოფლობით მღვდლების გაკოეჭაზე“ ლაპარაკობს. საერთოდ ბოლშევიკებში დღეევნდლამდე გაბატონებული წესი თავიდანვე დამყარდა: ქვედა საფეხური ზედას ატყუებს: ეს ქვედამაც იცის, რომ ტყუის და ზედამაც, რომ ატყუებენ, მაგრამ მაინც იმეორებენ და ჭეშმარიტებათ აღიარებენ.

ჩვენ ამ „ნებაყოფლობის“ ცოცხალი მოწმეები ვართ და ვიცით თუ რმდენი მსხვერპლი შეიწირა და რა ბრძოლა მისცა საოკუპაციო ხელისუფლებას ეკლესიების დახურვის ამბავი, არა მარტო სასულიერო წოდებამ, არამედ მთელმა ერმა და უპირველეს ყოვლისა გლეხობამ. ვიცით ისიც, თუ რა ძვირათ დაუჯდა ქართველ მუშას, გლეხს, პროლეტარს, ერსა და ბერს „მომმე წითელი არმიის მიერ განთავისუფლება“!

ეს იყო ნამდვილი ბარბაროსობისა და ველურების შემოსევა, რომელსაც მიზნად ჰქონდა სამუდამოთ მოესპო და წაელეკა ქართველი და საქართველო.

ამის მნახველი ქართველობა ერთ ეროვნულ ორგანიზმათ იქცა და თავის ეროვნული პიროვნების გადასარჩენად ბრძოლის სამზადის შეუდგა.

პირველი აჯანყების დროშა სვანეთში აფრიალდა, მას მოჰყვა კახეთ-ხევსურეთი და მთელ საქართველოში ბრძოლისა და აჯანყების სული გაბატონდა.

ჩვენ არ შეეჩერდებით აჯანყებებზე. ამაზე მრავალჯერ ითქვა და დაიწერა და სათანადო მომენტში კვლავ აღინიშნება...

აქ გვინდა აღვნიშნოთ, თუ რა „ენტუზიაზმით“ შეხვდა ქართველი ერი „გამანთავისუფლებელ წითელ არმიას“?

როგორც თვით ორჯონიკიძე აღნიშნავს: „როცა ჩვენ შემოველთ აზერბაიჯანში ადგილობრივ ინტელიგენციას არ ჰქონია ის ნაციონალიზმი, რაც საქართველოში იყო“-ო. ამიტომ, ორჯონიკიძე მოუწოდებს ყრილობას რა გორმე „გადმობიბირონ“ ქართველი ინტელიგენცია და კერძოთ მასწავლებლობა, ვიდრე საკუთარი კადრი არა ჰყავთ. „გადმობიბრების“ ცდა 1936—37 წლებში ქართული ინტელიგენციის მასიური ელეტით დასრულდა...

შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რომ „მუშათა და გლეხთა“ მთავრობას პირველი მედგომი შეძახილი ქართველი მუშისაგან შემოესმა. 1921 წლის ოქტომბრის დამლევს თბილისში გაიმართა მასიური მიტინგები. მუშები მთავრობასთან აგზავნიან სპეციალურ დელეგაციას, რომელსაც დავალებული აქვს გადასცეს 5.132 თბილისელი მუშის ხელმოწერილი მემორანდუმი, სადაც ნათქვამია:

ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია აღდგენილ იქმნას: 1. საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი სუვერენობა. 2. აღდგენილ იქმნას მისი ჯარი. 3. საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანილ იქმნას რუსის ჯარი. 4. აღდგენილ იქმნას თავისუფლება მუშათა ორგანიზაციების, არჩევნების, კრებების, პრესის, სიტყვის და პირადების ხელშეუხებლობა. 5. შეჩერებულ იქმნას ქართველი მუშის დათხოვა და მისი უკეთესობაში გადასახლება. 6. შეჩერებულ იქმნას პროვინციებში დამსჯელი რაზმების თარეში. 7. განთავისუფლებულ იქმნან ყველა პოლიტიკური პატიმრები. ამ მოთხოვნილებით მთავრობის წინაშე წარმოდგენილი მუშათა დელეგაციის უკანალოდ ვაქარა. შემდეგ გამოირკვა, რომ „მუშათა და გლეხთა მთავრობამ“ ქართველ მუშათა დელეგაცია დაატუსაღა. ამ გარემოებამ მთელ საქართველოში მასიური დემონსტრაციები გამოიწვია. „მუშათა დემონსტრაციების დაუყონებლივ შეუერთდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტექნიკუმის სტუდენტობა. იმართება საპეციალური მიტინგი, რომელსაც ესწრება ორიათასი სტუდენტი. სტუდენტები ერთხმათ ღებულობენ რეზოლუციას, რომელიც გადაეცა მთავრობას. იქ ნათქვამია: „მოვისმინეთ რა ცნობა რევოლუციონური კომიტეტის (ასე ეწოდა მთავრობას) მიერ მუშათა დელეგაციის დაპატიმრების შესახებ, სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ვადგენთ: სავსებით ვიზიარებთ მუშათა მოთხოვნილებებს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენობის და ტერიტორიალური მთლიანობის დაცვის, სიტყვის თავისუფლების, კავშირების, პრესის და პოლიტიკური უფლებების, საქართველოს ტერიტორიიდან რუსის ჯარების ევაკუაციის და პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების შესახებ და საჯაროთ ვაცხადებთ, რომ მზათა ვართ მთელი ჩვენი ძალღონით დავიცვათ მუშათა კლასის სამართლიანი მოთხოვნილებანი. სტუდენტობა უცცადებს თანაგრძნობას ციხეში დამწყვდეულ მუშებს და მოითხოვს დაუყონებლივ მათ განთავისუფლებას. რეზოლუციის ხელს აწერს კრების თავმჯდომარე ხეფსერიანი, მდივანი—„შარაძე“. (იხ. „საქართველოს პროლეტარიატი ანტიბოლშევიკურ ბრძოლებში“ გვ. 30. 1921 წ.)

ცხადია, საოკუპაციო ხელისუფლება არც სტუდენტობას აპატიებდა ამ „თავხედობას“ და მათ წინაააღმდეგაც მიმართა რეპრესიებს.

თბილისს მოსახლეობა ვერც ამან დაიცხრო. ნოემბრის 1-ლს, 1921 წ. აგუგუნდა რკინიგზის მთავარი სახელოსნის საყვარი, მას ჰაჯეკი ეკლესიების ზარების რეკვა. ეს იყო საყოველთაო გაფიცვის ნიშანი.

სპპროტესტო დემონსტრაციებით გაიივსო თბილისის ქუჩები. მუშებსა და სტუდენტებს გზა და გზა უურთდებოდნენ „გამეელილ-გამომეელნი“ და ხალხის ზღვა მიეშურებოდა სასახლისაკენ...

აღსანიშნავია, რომ ქართველმა მუშამ და პროლეტარმა „მუშათა და პროლეტართა“ მთავრობას მოსთხოვა არა რვა საათის სამუშაო დღე, არა ჯამაგირის გადიდება, არა სამუშაო პირობების გაუმჯობესება, არამედ საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა და საქართველოს ტერიტორიიდან რუსის ჯარის გაყვანა. ე. ი. გაფიცვებს და დემონსტრაციებს ჰქონდა არა სოციალური, არამედ ნაციონალური ხასიათი. ამოძრავდა საოკუპაციო ხელისუფლებაც მთელი თავისი ინტიზიტორულ-პოლიციური აპარატით. დემონსტრაციის მესამე დღეს თბილისის ციხეებში ოცი ათასი პატიმარი იყო. იქვე ნომბერს თთავრობამ ამაყად დაიკვეხა: „კონტრრევოლუციონური გამოსვლა ძირშივე ჩაკვალითო“, ხოლო უფრო ვვიან ორჯონიკიძემ განაცხადა: „რუსეთის წითელი არმია ჩვენ მიგვაჩნია ჩვენ წითელ არმიათ“ და იქვე ამატებს: „თუ არ წითელი არმია, უამისოდ ხომ ერთი პოლკიც საკმარისი იქნებოდა საქართველოს ოკუპაციისთვისო“. (იხ. „პრავდა გრუზიი“ №305)

აი ასე შეხვდა ქართველი მუშა, გლეხი, ინტელიგენტი, ერი და ბერი რუსეთის წითელ არმიას, რომელსაც ორჯონიკიძე და ხაკალურიძე „ენტუზიაზმით“ შეხვედრას უწოდებს...

ნოემბრის ამ მღელვარებას თან მოჰყვა 1922 წლის თებერვალი; დაპყობის წლისთავი. ამ ნაც მოსწყალე ახალგაზრდობის მხრებზე გადაიარა. უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების სტუდენტებას შეუერთდა თბილისის საშუალო სასწავლებლები და თბილისში კვლავ აფრიალდა ეროვნული დროშები, კვლავ გაისმა ეროვნული ჰიმნი... იმავე დღეს მსგავსი დემონსტრაციები მოეწყო მთელ საქართველოში სადაც კი უმაღლესი, ან საშუალო სასწავლებელი არსებობდა.

საოკუპაციო ხელისუფლების პოლიციამ და რუსული ჯარის ნაწილებმა ამ შემთხვევაშიც „ბრწყინვალედ“ შეასრულეს მოვალეობა და ახალგაზრდობა სისხლის ზღვაში აბანავეს...

მუშები და ახალგაზრდობისადმი ბარბაროსული მეთოდებით „ანგარიშის გასწორებამ“ მთელი საქართველო აღაშფოთა და აალელვა.

პირველი გამბედული სიტყვა საქართველოს მღვდელმთავარმა სთქვა და თავის სამწყსოს გამოექომაგა. ნეტარხსენებულმა ამროსიმ 19-22 წლის აპრილში გენუაში მომხდარ საზავო კონფერენციას მიაოვნა ეპისტოლე. დიდებული კათოლიკოს-პატრიარქი ზეციმრწენენთ ისე სწორით აღწერდა საქართველოს მდგომარეობას. კათოლიკოსის მიმართვა ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს კონფერენციაზე და რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარს უფლებას არ აძლევენ საქართველოს სახელითაც ლაპარაკოს.

რუსი კომეზნესტები მონოგოლური მრისხანებით უსწორდებიან საქართველოს სულიერ მამას და ერთგულ მფარველს. ღრმად მოხუცებული, ციხეში ჯდომით დასნეულებული, უცნაურ სულის სიმტკიცეს იჩენს გასამართლების დროს. მარად დაუვიწყარი იქნება და თაობიდან თაობებს სიამაყით გადაეცემა მისი სიტყვები: „სული ჩემი ღმერთს ეკუთნის, გული საშობლოს და ღენი თქვენი იყოს ჯალათებო და რაც გინდათ ის უყავითო“.

აი სურათი, რომელიც რუსის ჯარს საქართველოში დახვდა. არამც თუ ხალხი, ერი, პარტია, ან ჯგუფი, არამედ „ენტუზიაზმით“ შეხვდრის არც ერთ ცალკეულ შემთხვევასაც კი არ ჰქონია ადგილი.

აქ აღწერილი მოვლენები წარმოიშვნენ სპონტანურად, როგორც სპონტანური იყო 1921 წლის სვანეთის და 1922 წ. კახეთ-ხევსურეთის აჯანყებები.

გაგნეული საფლავები.

მოგონებები გრიგოლ რობაქიძეზე.

უცხოეთში გადმხვეწილი წარჩინებული ქართველი პატრიოტთა გაბნეულ საფლავებს დღეს კიდევ ერთი ემატება... ემატება გარდასულთა სახელოვან წრეს, ხოლო ჩვენს ბზას დიდი შუქი აკლდება... საქართველოზე მარად და ყველგან შეყვარებული, მისი მზით ამაყი, ქართული სიტყვის, მისი წარმოქმნის და წარმოთქმის ნამდვილი ჯადოსანი, გრ. რობაქიძე აღარ არის. ამ მზის მიმდერალის და მზით დამთვრალის მზე სამუდამოთ ჩაეშვა...

ჯერ კიდე დრო არ დამდგარა გრ. რობაქიძის ლიტერატურული კვალის, და, ეჭეშმარიტად, სრულიად ინდივიდუალური გზის ასახვის.. ვამბობ კვალის, რომელიც ქართული სიტყვის და კალმის უბადლო ხელოვანს ამ 60 წლის გასწვრივ საქართველოში და საქართველოზე უცხოეთში გაუვლია.

მომავალი ამას, უეჭველია, ღირსებით და სიყვარულით აღნიშნავს და ჩვენი დროის სულიერ კულტურის ანალებში შეიტანს.

მე კი ამ ჟამთ მინდა ოდნავ მაინც, სულ პატარა ჩარჩოში, ჩვენი გრიგოლის მკეთური პიროვნება მოვხაზო: ამას მავალებს ჩვენი, არა თუ ჩვეული, ემიგრანტული, ურთიერთობა გრდასულთან, არამედ ნამდვილი და ქართული მეგობრობა, წრფელი ურთიერთობა აკაკისთან, ჩემთან და მთელ ჩვენს ოჯახთან... მეგობრობა, რომელმაც ნახევარ საუკუნის მანძილზე ათასნაირ მძაფრ ქარიშხალს გაუძლო.

გრიგოლს ჯერ საქართველოში ვიცნობდი და თავიდანვე მისი მომჯადოებელი, ეჭეშმარიტად, აღგზნებულ ქართული სიტყვის თაყვანისმცემელი ვიყავი მრავალ სხვებთან ერთად. მეც ნამდვილის აღტაცებით და ესტეტიურ გრძნობათა ბურუსში გახვეული გავდიოდი ქუთაისის თეატრიდან, სადაც ეს ოქროპირი მჭევრი ხმით და ანთებულის თვალებით, ნამდვილად აკოცლებდა და სცენაზედ ამეტყველებდა დიდ ილიას, აკაკის, ნ. ბარათაშვილს, ვაჟას და დანარჩენ საყვარელ მგოსნებს.

ახალგაზრდულის გატაცებით ბევრჯერ მუყურობდა მასთან, მის წრეში, საათობით ყოფნა და დატკბობა მისი ახალი, ჯადოსნური ქართული სიტყვებით... და განგებამ თითქოს ეს შემთხვევა დიდის სიკეთით მარგუნა: მე მას, მოულოდნელად, შეეხვედი და წელთა განმავლობაში თითქმის ყოველ დღე ეხედებოდი ღორპატში, სადაც ის უნივერსიტეტში სწავლობდა. იქ, სტუდენტთა წრეში, სათვისტომოში, კერძო შეკრებულობაში ჩვენ ხშირად ვუსმენდით მას ქართულ ხელოვნებაზე და კერძოდ პოეზიაზე. ამ ტაბლი ბაასში მოდამ მრავალი საათი გაგვიტარებია და მე იქ ვნახე, რომ კერძოობაშიც ეს კაცი ისევე უცნაური და მომხიბლავი იყო: მეტად ინდივიდუალურ და ორიგინალურ აზრების დიდის ხელოვნებით გაშლა ისევე ეხერხებოდა, როგორც ის ჩვენში სცენაზე მეტყველი მენახა...

შემდეგ, როცა საქართველო თავის კერას დაუბრუნდა და ყველანი, რითაც და რამდენათაც შეგვეძლო, ჩვენს ახლად აღორძინებულ სამშობლოს ვემსახურებოდით, გრიგოლი, თუმცა ძველებრის სიყვარულით, მაგრამ რაღაც ნაკლებ აღგზნებით მხედებოდა... საკვირველია, რომ მისი უცნაური შინაგანი ბუნება რაღა ცნაირ შიშს განიცდიდა, მისი სულიერი მთლიანობა თითქოს იჭვებით იყო გაბზარული.

ეს აღდგომა მას შინაგან თითქოს არ სჯეროდა და ნახევრად განმდგარი, თავისთვის ჩუმად „ბარხულობდა“... ან იქნება ის გარიყულად გრძნობდა თავს და ამ დიდ ამბების ტალღებს ვერ მიჰყვებოდა. მაგრამ დროთი-დრო თავის ვიწრო ჯგუფში, საყვარელ მწერალთა წრეში, ის ამ იჭვებს გადაიყრიდა და მაშინ ძველი გრიგოლი,—ჯაბანყებულ სიტყვათა, ფერთა და ვილათ აკოცლებდა და სცენაზედ ამეტყველებდა დიდ ილიას, აკაკის, ნ. ბარათაშვილს, ვაჟას და დანარჩენ საყვარელ მგოსნებს.

ახალგაზრდულის გატაცებით ბევრჯერ მუყურობდა მასთან, მის წრეში, საათობით ყოფნა და დატკბობა მისი ახალი, ჯადოსნური ქართული სიტყვებით... და განგებამ თითქოს ეს შემთხვევა დიდის სიკეთით მარგუნა: მე მას, მოულოდნელად, შეეხვედი და წელთა განმავლობაში თითქმის ყოველ დღე ეხედებოდი ღორპატში, სადაც ის უნივერსიტეტში სწავლობდა. იქ, სტუდენტთა წრეში, სათვისტომოში, კერძო შეკრებულობაში ჩვენ ხშირად ვუსმენდით მას ქართულ ხელოვნებაზე და კერძოდ პოეზიაზე. ამ ტაბლი ბაასში მოდამ მრავალი საათი გაგვიტარებია და მე იქ ვნახე, რომ კერძოობაშიც ეს კაცი ისევე უცნაური და მომხიბლავი იყო: მეტად ინდივიდუალურ და ორიგინალურ აზრების დიდის ხელოვნებით გაშლა ისევე ეხერხებოდა, როგორც ის ჩვენში სცენაზე მეტყველი მენახა...

შემდეგ, როცა საქართველო თავის კერას დაუბრუნდა და ყველანი, რითაც და რამდენათაც შეგვეძლო, ჩვენს ახლად აღორძინებულ სამშობლოს ვემსახურებოდით, გრიგოლი, თუმცა ძველებრის სიყვარულით, მაგრამ რაღაც ნაკლებ აღგზნებით მხედებოდა... საკვირველია, რომ მისი უცნაური შინაგანი ბუნება რაღა ცნაირ შიშს განიცდიდა, მისი სულიერი მთლიანობა თითქოს იჭვებით იყო გაბზარული.

ეს აღდგომა მას შინაგან თითქოს არ სჯეროდა და ნახევრად განმდგარი, თავისთვის ჩუმად „ბარხულობდა“... ან იქნება ის გარიყულად გრძნობდა თავს და ამ დიდ ამბების ტალღებს ვერ მიჰყვებოდა. მაგრამ დროთი-დრო თავის ვიწრო ჯგუფში, საყვარელ მწერალთა წრეში, ის ამ იჭვებს გადაიყრიდა და მაშინ ძველი გრიგოლი,—ჯაბანყებულ სიტყვათა, ფერთა და სახეთა ღვდელმომქმედი, კვლავ გაკოცხლდებოდა...

ტიციანი, პაოლო, ნ. მიწიშვილი და სხვანი, პოეზიით რომ სუნთქავდნენ და რითმებით მეტყველებდნენ, გრიგოლის მეთაურობით ხშირათ გვეწვეოდენ ჩვენს ბინაზე: თბილისში, არტემ ანნაზაროვის სახლში, საპიორის ქუჩაზე: და ხშირათ, ბათენბაშვილ გაგრძელებულ ნადიმის დროს, გაისმოდა მათი შაირები, ქამათი და ეპიგრამები, რომლის ნამდვილი მაესტრო პაოლო იყო. აქ გრიგოლი ერთბაშად იცვლებოდა,—მისი ბეული იშლებოდა და, სიტყვები და რითმები ჯადოსნურად ჰქუხდნენ. ეს ის დრო იყო, როცა „ქიმერიონნი“ ქართველ მწერალთა კავშირის სადაზაზოდ იქცა და აკაკიც ხომ ამ კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.

მაგრამ საქართველოს და ჩვენმა ბედმა ამ ეპოქის დიდ ამბებს ველარ გაუძლეს; საბედისწერო ქარიშხალმა ჩვენი გზები გაჭყარა... დაშორდით სამშობლოსთან გრიგოლსაც, და მხოლოდ გაზეთებიდან ეტყობინებოდით მის ამბავსა... კეთილულობდით მის ახალ ნაწერებსა, პიესებს და გულში მაინც ვეიხარობდა, რომ ამ გამოკვეთილმა ქართულმა ინდივიდუალურმა ცუნო „კოლექტივიზმის და მატერიალიზმის“ მძიმე დაწოლას გაუძლო და ხელოვნების სამსახურის გზა არ დაადგა.

მაგრამ ბალე გამოირკვა, რომ ეს ასე არ იყო შინაგანი წვა და არსებულ წინააღმდეგობათა ღრმა განცდები ისე გაძლიერდნენ, რომ საზღვრები გაარღვიეს, მათი შეკავება შეუძლებელი გახდა და გრიგოლი საბჭოთა საზღვრებს გამოსცდა... ერთ ხანს ეს იყო თითქოს დროებით, მაგრამ ბოლოს მაინც ის სამუდამოთ ევროპაში გამოვიდა.

პირველ ჩამოსვლის თანავე მოგვაშურა მან ჰამბურგში და ჩვენ წინ გახსნა თავისი გული, რაც შემდგომ „მოკალულ სულში“ დიდის ფსიქოლოგიურის ოსტატობით გაშალა.

ამის შემდეგ ის განუწყვეტელ კავშირში იყო ჩვენთან.—ან გვეწვოდა ჰამბურგში, ან ვნახულობდით ბერლინში, სადაც ძველებრად მთელი საღამოები მიჰქროდნენ სამშობლოზე ფიქრებში, აღგზნებულ სიტყვებში საქართველოზე, მის ხელოვნებაზე და კერძოთ ქართული სიტყვის გენიალურ „არქიტექტორზე“... და ჩვენც ძველებურის გაგიცებით ვისმენდით გრიგოლის უცხო და უცნაურ ჩანაფიქრს ქართული სიტყვის ძირების შესახებ: „ხელ-მწიფე“, „უფალი“, „მზე“, „მზერა“ „ნა ყოფი“ და სხვა. პირველად ეს თითქოს გაშლილდა და გეზოთირებოდა, მაგრამ გრიგოლის ხელოვნებითი „გაშლის“ შემდეგ ასე გასაოცარი და დამაჯერებელი ხდებოდა.

ჩვენთან ყოფნისას მის განსაკუთრებით უყვარდა „ქართლის ცხოვრების“, საბა-სულხან ორბელიანის „ლექსიკონის“ და კერძოდ პლატონ იოსელიანის, მაღალი სტილით შეზავებული, რუსული ნარკვევების კითხვა.

„საბას ლექსიკონს“ ის, ისევ და ისევ თავიდან გადაკითხავდა, როგორც საუცხოო რომანს და შიგ მუდამ ქართული სიტყვის ახალ ძირებს ეძიებდა!

განსაკუთრებით კმაყოფილად გრძნობდა იგი თავს ჩვენს ოჯახურ წრეში და ბედნიერი იყო, როცა ბერლინში გადავსახლდით. ეს იყო მისთვის ნამდვილი ქართული ცრა. აქ გამარჯულ პატარა ლიტერატურულ საღამოებზე ძველებურად სჭექდა. ოსტატობით გამოჭრილი, მკვეთრი სიტყვები გრიგოლისა... სიტყვები ძველ, მარადიულ საქართველოზე, რომელიც ათასეულ წელთა ქარიშხალს ასე უძლებს, არ ირღვევა და სდგას ვით სალი კლდე... ეს ძველი უტეხი ნება და სული გრიგოლს ღღემდე ეცხადებოდა ილ, თითქოს ცოცხლად და გამართულად, ნეესურთა ძველ კოშკებიდან ეძახდა; ამიტომ ესმოდა და ნათესაურად უყვავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათოლიკოს პატრიარქი პარიზში.

ერი დამპყრობელებთან ბრძოლაში ჩაება... საჭირო იყო მისი ორგანიზაცია, რათა უაზრო წყვეტება თავიდან აეცილნა და მტრისთვის ხელსაყრელ მომენტში დაერტყა. ამ მიზნით წარმოიშვა დამოუკიდებლობის დროს არსებულ პარტიათა წარმომადგენლებისაგან შემდგარი პარტიტული კომიტეტი, რომელმაც თავის ორგანიზაცია 1922 წლის გაზაფხულზე დასრულა.

რა იყო რუსეთის საქართველოში შემოჭრის ნამდვილი მიზეზი?

რუსეთის პროფკავშირების პირველ ყრილობაზე, სადაც აშკარათ გამომჟღავნდა ლენინის მოშთათა კლასის შებოჭვის სურვილი, რასაც ტროცკი დაუპირდაპირდა,—სხვათა შორის ნათქვამი იყო: ჩვენი სისუსტის დროს იმპერიალისტებმა ხელიდან გამოგვაცალეს ბაკანარი ქვეყნები: პოლონეთი, ფინეთი, ბალტიის ქვეყნები კავკასია და სხ... ეს უკვე ნიშანი იყო, რომ რაც სისუსტის დროს რუსეთმა დაკარგა, ის ძლიერების დროს უნდა დაებრუნებინა. ჩვენ გვახსოვს დასავლეთის მიმართულებით წარმოებული ომი და იქ რუსეთის მარცხი.

საცდელი დარჩა მხოლოდ კავკასია...

იგივე ორჯონიკიძე 1919 წ. „ეფენდიელინკ პრაგდა"-ში ეხება რა რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობას აცხადებს, რომ მათი არმია „ტანშიშველი და ფეხშიშველია". იმავე წელს მოსკოვში არწმუნებს თავის ამხანაგებს კავკასიის დაპყრობის აუცილებლობაში. მისი სიტყვიერი „ჩრდილო კავკასია, სტავროპოლის გუბერნია და ყუბანის ოლქი მათი უზარმაზარი რაოდენობის პურით, ნორკით. ნავთობით, მატყლით და ბეწნინით ჩვენ ხელთ იქნებიო". ხოლო იმავე წლის მარტში ხარკოვის „მუშთათა და ჯარისკაცთა სობჭოს" აჯერებს, „ამხანაგნო, იქ წინ, როსტოვის იქით, ჩვენ მოგველიან თავისუფლების მოყვარე მუშები და გლეხები. წინ არის არა მარტო ბამარჯვება, არამედ პური მშივრებისთვის, ნახშირი, ნავთი, რკინისგზებისათვის და ფაბრიკებისთვის". (იხ ბიზეტია, №7. 23-12-1919 წ.)

მაშასადამე ბოლშევიკების საპროპაგანდო ლაყბობას რომ თავი დავანებოთ, საქართველოს დაპყრობის მიზეზი ყოფილა: 1. რუსეთის სისუსტის დროს ჩამოცილებული ქვეყნების დაბრუნება და 2. დამშეულ და ეკონომიურად განადგურებულ რუსეთს, შედარებით ეკონომიურად მოღონიერებული ქვეყნების დაპყრობა და მათ ხარჯზე თავისი ეკონომიკის გამოსწორება.

აქ ორი აზრის ქონა შეუძლებელია. ჩვენ თვალწინ ნათლად არის ასახული რუსული იმპერიალიზმი მთელი თავისი სიტლანქით და მრისხანებით.

42 წლის წინ მშიერი რუსეთი შემოესია მაძღარ საქართველოს და დაიპყრო იგი. 42 წელი სცარცვეს ჩვენ ქვეყანას და ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე თუ სამეურნეო შემოსავალი მოსკოვში მიდის. ამ მტაცებლური ნაგლეჯი ძმძორი რუსეთი დღეს მხოლოდ ნასუფრალს უგდებს საქართველოს.

საქართველო გამარჯვება- დამარცხებების ქვეყანაა. დაპყრობა-განთავისუფლებით სავსეა ჩვენი ისტორია. ქართველი ერი, თავისი დიდი ტარდიციით, დღესაც პოულობს შესაძლებლობას, რათა თავისი ეროვნული პიროვნება დაიცვას და ეროვნული კერა არ ჩააქროს.

თემურ ლანგმა რეაჯარ დალაშქრა საქართველო: ქვა-ქვაზე არ დასტოვა და მიწასთან გაასწორა. მაგრამ სიკვდილის წინ თავის შემკვეთრეებს მაინც უანდერძა: „გაუფრთხილდით საქართველოს, მრავალჯერ დავშმარცხე და დავიპყარი. მაგრამ ვერც ერთხელ ვერ დავიმორჩილენ"

საქართველოს უკვდავების წყარო ვერც რუსეთი დააშრობს. ვადავი დრო და რომელიმე რუსი მკვლევარიც იტყვის: ორჯერ მეტი რუსის სიცოცხლე შეეწიროთ საქართველოს, ვიდრე თვით ქართველია, ხანგრძლივეთაც დაეპყართ, მაგრამ ქართველების დამორჩილების არც ერთი მომენტი არა გვქონიაო.

ეს იქნება საქართველოს საბოლოო გამგაჯგუბის დღე, რომელიც ყოველ ჩვენთაგანს ავალდებულებს. ყველა მდგომარეობაში, მაქსიმალური მსხვერპლის გაღებას და მისადმი მიძღვნილობას.

დიდება საქართველოს! დიდება მისთვის ალსრულებულ მამულიშვილებს!

კათოლიკოს პატრიარქი პარიზში.

ედემის ბაღად ქცეული საქართველო ყველას თვალს იტაცებდა. ყოველი რჯულის ხალხს უნდოდა დაპატრონებოდა მის მდიდარ მიწის გულს; ბის მხნე, გამრჯე და შეუპოვარ ხალხს და სტრატეგიულად ხელსაყრელ მის გეოგრაფიულ მდებარეობას. .

ბეგრჯერ დაიფლთა ქართული ორგანიზმი, მრავალჯერ დაიმხო ისინ ცენტრალური ხელიდან სუფლება და დიდ ძალთა დაჯახებამ წარმოშვა ქართული სახელმწიფოს დაქუცმაცება და „მრავალ სახელმწიფოებრივობა". მტერი ყოველთვის ცდილობდა ქართულ ცალკე ეროვნულების გამრავლებას და მათში შურისა და მტრობის გაძლიერებას, რათა ეროვნული ორგანიზმის გამრთელება შეუძლებელი გამხდარიყო.

მაგრამ თვით ამ ტომურ-სახელმწიფოებრივობის ეგოიზმის უაღრესი გამოვლინების დროსაც კი საქართველო შეკავშირებული იყო სულიერად და ზნეობრივად და, ამ მრიგ, წინდაწინ იყო მომზადებული ნიადაგი ეროვნული გაერთების და საყოველთაო ქართული სახელმწიფოებრივობის განმტკიცების.

ამ დიდ და საშვილიშვილოდ სანუკვარ რომლს ასრულებდა ქართული ეკლესია და მისი სანმიუშო შორსმჭვრეტელი წარმომადგენლები.

სარწმუნოება უდიდესი ფაკტორი იყო ჩვენი ეროვნული მთლიანობისა.

თვით კერპთაყვანისმცემლობის დროსაც ქართველ ტომებს ერთი და იგივე ღმერთები სწამდათ. ხოლო ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ყველა ტომებს ეს მოძღვრება ერთნაირად ესმოდათ და შექმნეს ერთი ეკლესია. რომელმაც სუფთა ქართული ელვარი მიიღო. ეკლესიის გარშემო შეიქმნა ქართული ეროვნული კულტურა: მწერლობა, მხატვრობა, მუსიკა, ხუროთმოძღვრება და სხ... სუკეთნოებით ძმიმე ზრომითა და ბრძოლით შექმნილი მაღალი ღირებულობის კულტურას ერთნაირის გულმოდგინებით იცავდა ყოველი ქართული მოდგმის ადამიანი, ერთად თუ ცალ-ცალკე. ამან შექმნა ერთი ეროვნული სულისკვეთება, გამარჯვების გაუტეხელი რწმენა და ეროვნული ორგანიზმის მთლიანობის მისწრაფება.

როდესაც არაბების ბატონობამ ქართველები გააძალტყვაცა და სასოწარკვეთილებამდე მიგიდა, მაშინ გაისმა იოანე საბანისძის მქუხარე მოწოდება. დიდმა ქართველმა ნიჭიერად გამოიყენა აბო თბილელის წამება და ქართველებს ურჯულოს დასაცავად მოუწოდა. ისტორია გვასწავლის, რომ იოანე საბანისძის გამამხნევებელმა სიტყვამ ქართველები ყველა აღვიძა და აამაძრავა. ამგვარი აღვიძება დაამძრავება დაედო საფუძვლად საქართველოს ბრწყინვალე მომავალს: დავითის და თამარის საქართველოს. ხოლო მადლიერმა მემატიანემ საბანისძეს სამართლიანად შეარქვა „ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგი".

ვერც მონგოლურმა მრისხანებამ, ვერც ირანმა, ვერც თურქ-სელჯუკებმა ვერ გასტეხა ქართული ეროვნული სული და ეროვნულ-დამოუკიდებლობის დროშით შეაღო 19-ტე საუკუნის კარები.

აქ ბეგმა გვიმუხთლა: მოკავშირეთ და მფარველად მოწვეულმა „ერთმორწმუნე" რუსეთმა ერთი კალმის მოსმით გაკამტვერა სამი ათასი წლის მანძილზე ქართული თაობის მიერ სანმიუშო თავგანწირვით მოტანილი ეროვნული დამოუკიდებლობა და ის რუსეთის ორ გუბერნიათ გამოაცხადა.

სულ მალე გამოირკვა, რომ ქართული სამეფოს გაუქმებით და იქ რუსული ადმინისტრაციის გაბატონებით საქართველოს დაპყრობა და დამონება შეუძლებელია. რუსები პირველ ათ წელიწადში დარწმუნდნენ, რომ ქართულ ეროვნულ სულს ფლობს ქართული ეკლესია: ამიტომ საჭიროთ დაინახეს მისი მოსპობაც. 1811 საქართველოს კათოლიკოსი პეტერბურგში გაიწვიეს, თითქოს სინოდის ყრილობაზე დასასწრებლად და იმავე წლის ივნისის 30-ის „უმაღლესი ბრძანებით" კი მოსპეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და ის ათეისტური რუსეთის ეკლესიას დაუმორჩილეს. 1817 წლის 9 ნოემბრის ბრძანებით კი სინოს ტაძარში (ადგილობრივი (ე. ი. ქართველებისთვის) მოვდლებისათვის ღვთისმსახურება ნება დართეს ეროვნ მხოლოდ ორშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს,, ამ შემთხვევაში თუ ამ დღეებში არ მოხვდებოდა სახელმწიფო, ან საეკლესიო უქმე. დიდებული მეცნიერი ივ. ჯავახიშვილის ცნობით „მთავრობის ხელში თვით ეკლესიაც კი იყო პოლიტიკური და რუსიფიკატორული იარაღი. ქართული ეკლესიების რუსი მოხელეები ახდილ ურთიერთობაში იყვნენ პოლიციასთან". (იხ. მისი „პოლიტიჩესკიე ი სოციალნო დვიჟენიე ვ გრუზიი ვ 19 ვეკე" გვ. 41)

ან კი როგორ შეიძლება სხვანირად წარმოიდგინოთ რუსი მოვდლები საქართველოში!

1847 წ. ივლისის თარიღით ბელინსკის მიერ გოგოლისადმი მიწერილ წერილში კეთილსურობთ: „ნუ თუ თქვენ გულწრფელად, სულითა და გულით უმღერეთ ჰიმნი საზიზღარ რუსულ სამღვდელოებას... თქვენ გგონიათ, რომ რუსის ხალხი მსოფლიოში ყველაზე რელიგიურია: სიცოცხეა! რელიგიურობის საფუძველია პიტტიზმი, მიწიწება, ღვთის შიში. რუსი ადამიანი კი ღმერთს რომ ახსენებს, საჯოდმს იფსენს. იგი ხატის შესახებ ამბობს: ვარგა—ეილოცოთ, არა და,—ქოთანს დავახურთოთო".

„ეროტა ვულდასმით დაეკვირდით და დარწმუნდებით, რომ ეს ბუნებით ღრმად ათეისტი ხალხია... რუს ხალხში რელიგიურობა სამღვდელოებაშიც კი ვერ ინერგება... და სხ.." (იხ. ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტომი მეორე გვ. 738. ესარგებლობ ქართული თარგმანით).

ამ გვარი ათეისტი ხალხი დაეპატრონა ქართული სულის მპყრობელ ჩვენს ეკლესიას, რის გამოც კეთილშობილი ქართველი მეცნიერი 1907 წ. ამბობენი სწერდა: „ქართველებს წაართვეს უფლება, საქართველოს დედაქალაქში, კათედრალური ტაძარში, მშობლიურ ენაზე მოისმინონ ღვთისმსახურება, სადაც 1400 წლის განვალლობაში შეუწყვეტლად ისმოდა მხურვალე ლოცვა. არც სპარსელებს, ეუ ცხლისთაყვანისმცემლებს, და მუსულმანებს, არც არაბებს, არც მონგოლებს არ უქნია, რაც ჩაიდინა რუსულმა მთავრობამ და მისმა ეკზარხიმმა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ..." (იხ. ზემო დასახელებული ივ. ჯავახიშვილის წიგნი გვ. 21.) და ასრულებს: „მაგრამ რა იყო შედეგი ამ ლაშქრობისა, რომელმაც ვერ შემატა დიდება „მართლმადიდებელ ქრისტეს მოყვარე ჯარს", თუ არ სიძულვილი და ზიზღიო..."

ამ სიძულვილში და ზიზღში გასალკლდეგდა ქართველი ერი და მისი სულის მპყრობელი

რდა მთის შვილი და გენია ვაფასი...

შემდეგ, შეიძლება ვსთქვათ. უკანასკნელად, ჩვენ ერთად ვინუნთქეთ ქართულის პოეზიით და გენიით 1938 წელს, კაპრის კუნძულზე, სადაც დაუვიწყარი ზაფხული გავატარეთ მე, აკაკიმ და გრიგოლმა: ვკითხულობდთ შოთას და ამას მოპყვებოდა სხვა და სხვა ჩვენი საამაო მგოსნების შედეგები: ამასთან ჩვენი მწერალ მეგობრებზე დაურსულელი მოგონებები, მათი ცხოვრების ეპიზოდები...აკ გრიგოლ მასალა ხომ არ გამოელეოდა და ასე ესტკბებოდით და ეისვენებდით.

დავშორდით ერთმანეთს იმ იმედით, რომ „გაისათ" ისევ იქ შეეხვედებოდით; და ის პატარა, ქართული სუფრა, რომელიც კაპრზე იმპროვიზაციით შექმენი და რომელმაც გრიგოლს იმერეთი გაუცოცხლა. „გაისადაც" გვექნება და კიანტით საქართველოს სადღეგრძელო კელავ დაგვეცალა...

ასე ვფიქრობდით და ასე გვწადდა...

მაგრამ „გაისათ" ჩვენთვის ეელარ დადგა და ყოფაც ეფსკერულში ჩაიქცა... და ის „გაისთ" 1939 წელს, ჩვენ „დაბნელებით" დავიწყეთ და კაპრის ჩირაღდნები და ლუჩჯი ცა, სამშობლოს რომ გვაგონებდა, წყვდიადში გადაეშვა; ასე ჩაჰქრა ჩვენი იმედი, იმედი, რომლის შესახებ გრიგოლი 26-6-39 წ. აკაკის სწერდა: „შენმა ბარათმა ძალიან გამახარა; მაშ გავეგებგზავრებთან აგვისტოს ბოლოს კაპრისკენ, „ინებოს ალაბმა"! ჩემი ახალი რომანი „ატლანტიზერ ფრაუმ" ნახევრად უკვე მზათაა; მოკმედება — „კაპრში: თან წამოვიღებ; შიგა და შიგ გადავფურცლოთ ერთად. წინასწარ ვტკბები ამ სამოთხის კუნძულის ნახვით კიდეე ერთხელ: (ბოლოკის სიტყვა-სიტყვით ზოგი ადგილები გრ ივგოლის მრავალ წერილებიდან, რაც ჩვენთან ინახება.)

და კიდეე უფრო გვიან, მრავალ წლების შემდეგ, ჩვენთან გატარებულ ამ სამოთხის დღეებზე ასე გვწერდა გრიგოლი: „ქვასანაყის გახსენება მძლავრად მოხდა ჩემს გულს: გამახსენდა ზაფხული 1938 წ. კაპრის კუნძულზე გატარებული. ეს იყო „ბედის სიმღერა" ჩვენი სიცოცხლისა თამარის, შენის და ჩემის. მშვენიერი იდეა მომეცი: ავამტკუველო მგ ქვა; ავამტკუ�eველ უთუოდ და მის ნათქვამს „ბედი ქართლისა"-ში გამოვქვეყნებ. გარნა ვშიშობ: ვაი თუ თავი „მალლა ასწოინ" და აღარ იკადროს ქვიჯაში ნაყვა ნიგეზისა, თუ ქინძისა: არაფერია სხვა ფუნქციას მოუნახავთ,—იერარქიულს". ეს ქვა, რომლის შესახებ გრიგოლი აქ გვწერს, ერთგვარად „ისტორიულია" და მინდა ორი სიტყვით ეს „ისტორია" აღვნიშნო.

კაპრის კუნძულზე სეირნობისას ჩვენ ნინრჩი და მშვენიერი ყლორტები ეიპოვეთ ეკლესა; გრიგოლმა „ეკალ-მხალი" მოიგონა და მოინატრა. ნიგოზი. ქინძი და სხვა საკმაზი კაპრზე ბლომათ იშოვებოდა: გეკკლდა ქვიჯა (როდინი), ბოლოს ისიც შევიძინეთ, მაგრამ თითბერის, თითბერისაგე სანაყეთ. ეკალა მხალის გარდა სხვა მრავალ ჩვენებურ ეკრძებსაც ეამზადებდით. მაგრამ თითბერის სანაყი წვრილი იყო და მით ნაყვა ძალიან სჩირდა... გადაწყდა შესაფერი ქვის მოძებნა, რომ ნიგოზი კარგათ დაენაყა. შეუდექით მის ძებნას, სადაც რიყის ქვები უხვათ ეყარა ზღვის ნაპირზე. მაგრამ არც თუ ისე ადვილი შეიქმნა მისი აღმოჩენა. ჩვენმა „ექსპერტებმა" მრავალი „ეანდიტატი" გააშვეა და იქვე განუტეეა; და ბოლოს და ბოლოს შეეჩერდით ერთ ქვაზე, რომელიც გრიგოლმა მოიძია. მართლაც ძალიან წაადგა ჩვენებურ ქვიჯის ქვას და გრიგოლიც მეტათ ამაოობდა ამ „ქართული არქეოლოგიური ნაშრეის აღმოჩენით"

ამ ქვას დიდი ქება ეუძღვენით და დღემდეის ერთგულად ემსახურება ჩვენს ქართულ სამზარეულოს, აქამდე ჩვენი განუყოფელი თანამგზავრია.

აი, ამ ქვაზე მისწერა აკაკიმ გრიგოლს და მისცა იდეა—შეექმნა მისტიური პოემა, ან ერთგვარი ხოტბა კაპრის ქვაზე: ქვაზე, რომელიც ქართული ოჯახის სამსახურის არჩევის გამო, ამდენი ხეტიალის საგანი გახდა. და ეხლაც, არგენტინის სანაპიროზე, ახალ „აბარგეზას" ვლოდგნა. ვინ იცის, როგორ ოცნებობს თავის წყნარ და მშვიდ იტალიის პატარა კუნძულზე, იქ გატარებულ საუკუნეებზე... უკვე რამდენი თაობა და ხალხი ნახა და კიდევ რამდენს ნახავს, როცა ჩვენ, მისი „აღმამჩენნი", გავქრებთ,—არარაობაში გადავალთ. ხოლო ამ ქვის „მატერიალური კულტურა" მარადის უცვლელი დაშთება.

აი, ამ წინადადებაზე გვწერდა გრიგოლი: „უთუოდ ავამტკუველებ ამ ქვასაო"... მაგრამ ამ „ამეტყველებას"-ს ვერც ეს ქვა მიეცწრო და ვერც ჩვენ. ეს ამოცანა ჩვენს გრიგოლს შეუსრულებელი დარჩა... ან ვით შეასრულებდა? შემდეგ მი, დაწუვნის ნაცვლად, ჩვენი ცხოვრება ხომ კიდევ უფრო აირია და გრიგოლის გულშიც დიდმა უიმედობამ დაისადგურა. ამას ზედ დაერთო მისი საყვარელი მეუღლის, ელენეს, მძიმე, მოურჩენელი ავადმყოფობა და ჩვენი გრიგოლის მტკიცე, ფოლადის ნებაც გატყდა, მისი დიონისიური „მზიური აღგზნება" დაიფერფლა და გული და სურვილები დიდმა სევდამ დაფოკა. იმ ხანების ერთ-ერთს წერილში ის გვწერდა: „დამივიწყეთ. თქვენი გრიგოლი აღარ არისო!... სულიერი მდგომარეობა ჩემი ამ ეამად საშინელია. იმ გრიგოლ, რომელსაც თქვენ იცნობდით დორპატში, ტფილისში, ბირლინში, ჰამბურგში, კაპრის კუნძულზე—მე თვითონ ვეღარ ვხედავ ჩემს არსში. ჩემი სული „მოშლილია", დაეკარგე ხალისი—ეს უცნაური ნაკადი სიცოცხლისა..." კიდევ უფრო გვიან ასე გვწერდა: მე, გერმანელები რომ იტყვიან „ცვიშენკაიხში" ვცხოვრობ. ამ ეამათ, შეძლება რომ მქონდეს გადმოვსახლდებოდი მანდ, შეუერთდებოდი შენს კერას და ამით ადვილათ ჩავატარებდი უკანასკნელ დღეებს ამ სოფლად. ხომ იცი, ხანში შესულისათვის ძნელია ახალი მეგობრის მოპოვება—მგონია, შეუძლებელიაა... სალამობით მოუსხდებოდით სუფრას და ვიოცნებებდით დაკარგული სამშობლოს ირგვლივ".

ასე „ეაიქცა ხალისი და მძიმე მარტობას განიკდიდა მისნი ბუნება..." „ჩემს სიცოცხლეში", გვწერდა ის, „ასე მძიფრად არ მიგრძვნია ტომური ნათესაობა ჩვენნ! ჩვენი სისხლი, ჩვენი მიწა, ჩვენი ფესვები, ჩვენი ისტორია, ჩვენი ბედი... **ამ გრძნობაში ალბად სიკვდილის მოახლოვების წინაგზნებაცაა...** კარგი იქნებოდა რამოდენიმე ოჯახი მაინც ერთ ალაგს დავბინავდებოდეთ სადმე ამ ქამად—დროინთ. იფი ქრე ამაზე".

მაგრამ ამ დიდი სევდის მიუხედავათ, საქართველოს სიყვარული, მისი მიწის და მზის გრძნობების ათვისების უნარი ბოლომდე გაჰყეა. ის ამით ამაყობდა და ქედმაღლობდა.

საქართველო და მისი ღირსება უკანასკნელ წუთამდე დარჩა გრიგოლის ყოფის მიზანი და ამოცანა... და ეს ხომ ასე მკვეთრად გამოჩნდა მისი „ბედის სიმღერაში". სწორედ ამის გამო მან „დუელში" გამოიწვია რენე ლა პერ გოსსეტი და მისთვის ჩვეული, პატრიციულ ამაყ ღიმილით, თავისი „სადარბაზო ბარათი" წარუგზავნა ამ ეუერნალისტებს, საქართველოს და მისი დიდი ეკულტურის ხელ-წაკვრით მომხსენებელ „მწერლებს": მწერალს, ჩვენ ისტორია, ჩვენი ენა, „ეუსაქმო" „მარსელიელ მოხტიაღეს" შეადარეს...

მერე რა გაიფრთხილი შეეტია გრიგოლმა ამ ეუიც და თავხედ „ეკურნალისტებს", რა მარჯვე „სარმით" დასცა ორივ მხრებზე და დამცინავის ღიმილით განშორდა მათ. ეს იყო მისი უკანასკნელი ქართული შეტევა, ჩვენი წარსულის სიყვარულით აღგზნებული თქმა. (იხ.

კათოლიკოს პატრიარქი კარიზული.

(დასაწყისი იხ. 3-მე გვ.)

ქართული ეკლესია და როგორც კი ეამი დადგა მან პირველი ჩამორეკა მცხეთის ზარები: ქართულმა ეკლესიამ დაუფარნელია აღიდგინა დამოუკიდებლობა და საქართველოს ეროვნულ-დამოუკიდებლობის აღდგენის მოახლოვების ამბავიც ამით მან აუწყა ქართველ ერს.

ის იყო საქართველომ თავის თავი იპოვა და ეროვნულ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში ჩაება, რომ კვლავ მოგვეცმა „ვანგების, პეტკეების, და სტიოპკების“ ხმა (გამოთქმა ეკუთვნის ბელინსკის) კვლავ მოგვადგა რუსეთი, კარი შემოგვიმტვრია და სამშობლო ხელმეორეთ წარგტაცა.

ამ შემთხვევაში მოვიდა არა ნიღაბით: ჯვარისა და ღვთისმოსაკი, არამედ ნიღაბ ახდილი, ათეისტი და ველური. ქართული სახელმწიფოს დამხობასთან ერთად მონგოლური შეუბრალებლობით დაამხო და დაანგრია ქართული ეკლესია-მონასტრები.

1922 წ. გენუის საზავო კონფერენციაზე წარგდენილ ეპისტოლეში კათოლიკოსი ამროსი მრავალ რუსულ მრისხანებასთან ერთად იხსენიებს, რომ „მთელ საქართველოში 1500 ეკლესია ია დარჩაო“, ხოლო 1951 წ. კათოლიკოსი კალისტრატე ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტთან საუბარში აცხადებს: „მხოლოდ ასამდე ეკლესიაა საქართველოშიო“

კათოლიკოს კალისტრატემ ამერიკელ ჟურნალისტთან მესაიფში ხაზი გაუსვა „ქართველების ამერიკელ ხალხთან მეგობრულ ლტოლვას, რასაც მოჰყვა მისი უწმინდესობის დატუსაღება და 1952 წ. ციხეში გარდაიცვალა. (იხ. „ვოის ოფ ფრი ჯორჯია“ №1 გვ. 14).

აი ამ ბრწყინვალე მეძგეიდრეობით დატვირთული და ერის, ქვეყნის და ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის და განდიდებისათვის აღსრულებულ მღვდელმთავართა წინაშე და დი პასუხისმგებლობით წარსდგა გასულ აგვისტოში პარიზში მოწვეულ მსოფლიო საეკლესიო ყრილობაზე საქართველოს დღევანდელი კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ მეორე.

ერთი ორატორის განცხადებაზე, რომ ქართული ეკლესია 1917. არის დამოუკიდებელი. ჩვენ მღვდელმთავარის ღირსეულად უპასუხია: თექსმეტი საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ერთი პერიოდი იყო ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობის შეწყვეტის, როცა მეფის რუსეთმა საქართველო დაიპყრო და ეკლესიის ავტოკეფალიაც გაუქმა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ამაყად განუცხადებია: საქართველოს მოსახლეობის ოთხი მილიონიდან სამი მილიონი ერთგული დარჩა ქრისტიანობისო.

ჭეშმარიტად მართალი თქმაა. ქართველი ერი თავის თავს ვერ უღალატებს და რუსულ ათეიზმს ვერ გაჰყვება...

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ოფიციალური ცნობით ამ ეამად საქართველოში ორი მონასტერი და 105 მღვდელია. ალბათ მისი უწმინდესობა კათოლიკოს-

---

გრიგოლის უკანასკნელი წერილი: „ქართველის სადარბაზო ბარათი“. ციურიხერ ვოხე, 7-12 1962წ.) აი, ამ ცეცხლში დაიწვა მისი გული: ამ სიყვარულით დაფფიფლა ის და აგვატირა ჩვენი მეგობრები; აგვატირა მით უფრო, რომ ასე შორს თავის საყვარელ მიწიდან, თავისიანებიდან და ახლობლებიდან დაიხუმა ხმი მაგიერი ძალის მფრქვეი თვალები. თითქოს წინადვე გრძნობდა, რომ სამშობლო და დედა მას ასე დაიტირებდნენ:

“ეახ, თუ გდიხარ, შვილო, სადმე ვრდომილი,
დაგტეხია თავს უბედობა,
ვინ ვიგულვო შენი კეთილ მდომელი,
რომ ლუნინიი გაგიწოოს დედობა...“

(მისი ლექსიდან „დედა“)

რა მძიმეა, რომ ქართული სიტყვის ოსტატის ხსენება მის სათაყვანებელ სამშობლოში ხელოვნურის ყინულით დადუმებულია; და იქ, სადაც გრიგოლის სალოცავი, ცხუნარე მზე კაშკაშებს, მის ყველაზე უფრო ახლობელ მეგობართ და თანამოკალმეთ, მას რომ ასე აფასებდენ, არ შეუძლიანთ ქართული „შენდობა“ უთხრან და მისადმი სიყვარული ამხილონ.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჩუმად მაინც გრიგოლის სახელს ერთმანეთს გადუჭურჭულებენ და მისი სიკვდილის ცნობაზე მწუხარებით სხვაგვარად შეირხევიან... და მე მჯერა, რომ გრიგოლ რობაქიძის მახვილ ყურს ეს „ჩურჩული და რხევა“ მიხვდება და ის ერთხელ კიდევ გაუსწორებს თვალს მის საყვარელ მზეს—ქართულ მზეს...

იყოს. ძვირფასო მეგობარო და ხელოვანო, შენი ხსენებაც „მზე-გრძელი“, როგორც ამას შენ მუდამ გვეტყოდი და გვახარებდი.

თამარ პაპავა.

პატრიარქი თვითონვე გრძნობდა სამ მილიონ მორწმუნეთათვის 105 მღვდლის ყოლის ტრაგედიას, მაგრამ ადვილათ ასახსნელი მიზეზების გამო, ამ საკითხს აღარ შეეხო.

ბუნებრივია, ამ შემთხვევის გამო პარიზელ ქართველთა ენტუზიაზმი, მაგრამ მათ საქციელში არაბუნებრივი მომენტებიც ჯარბათა ჩანს...

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს თანა ხლებია ზ. გემაზაშვილი, რომელსაც პარიზში მცხოვრებ ქართველებმა მღვდელმთავრის მდივანი შეარქვეს. ჩვენის ცნობით კი ის ნო ხრუშჩოვის თვალი და ყური იყო, რათა მისი უწმინდეს ლოსობა „საზღვარს არ გადასცდენოდა“ და ხრუშჩოვის აგენტს დროზე შეეჩერებინა.

გემაზაშვილმა უკვე მოასწრო და ჩიკის საპროპაგანდო ორგანო „სამშობლოს ხმა“-ს სექტემბრის ნომერში მოათავსა წერილი, „თავისი შთაბეჭდილებები და პარიზში მცხოვრებ ქართველების კათოლიკოსთან გადაღებული სურათი. ვის არა ნახავთ ამ სურათში: ძორწმუნეცა და ურწმუნოს, სამშობლოს იდეით გულდათუთქლთ და სამშობლოს იდეის ბუკინისტებს...

ყველა ამ მოვლენაში მაინც -საინტერესოა თვით გემაზაშვილი, რომელსაც თურმე რაღაც „უცნაური“ გრძნობა აეკვიატა მას შემდეგ, რაც ნახა ,რომ „სალოცავად მოწყობილ ალტარა ოთახის წინა ეზოში მრავალ ქართველს მოეყარა თავი... ვუსმენ მღვდლის ლოცვას და თავს ვიმშვიდებ დიდი ქართველის—გრიგოლ ხანძთელის სიტყვით „საქართველოდ აღირიცხების ყველა ის ქვეყანა, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად შეიწირების...“ (ამის სწორი ტექსტი ასე იკითხება: ქართლად ფრიადი ქვეყანი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის და ლოცეაი ყოველი აღესრულების...“)

„მაგრამ ნაღველი მაინც არ ეშვება გულს“ განაგრძობს გემაზაშვილი—„ურჩი გონება თავ ვისას აკეთებს—ხანძთელს ის აღარ უთქვამს, რომ დამახინჯებულ ქართულ ენაზე ჩატარებული წირვა-ლოცვის ადგილიც აღირიცხების საქართველოდ“-ო.

აი მისი „ნაღველის“ ერთი მიზეზი. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი მოძღვარი სულ „ჩახრუხაძე-შავთელის“ ენით ლაპარაკობს ქართულად და ასრულებს (და არა ატარებს—ბ-ნი გემაზაშვილო!) ღვთისმსახურებას, განა ამიტომ პარიზი და საფრანგეთი საქართველოდ „აღირიცხების“? განა ერთი წუთით მაინც მხედველობიდან გასაშვებია, რომ დიდმა ქართველმა—გიორგი ხანძთელმა ქართველთა შემკრებლობითი მნიშვნელობითა თქვა ეს დიდებული სიტყვები და არა დამორწყველი მიზნით?! რა მწარეთ ისმის ხრუშჩოვის მონა-მორჩილებიდან დიდ ქართველთა დიდი ეროვნული მოსაზრებებით წარმოთქმული სიტყვები!

ნუ თუ პატიოსნური მამულიშვილური გრძნობა არ ავალდებულებს ქართველს პატივი სცეს იმ ადამიანს, რომელიც უცხოეთში დავაკაცდა (თუ არ დაიბადა), უცხო კულტურაზე და უცხო ენაზე განათლება მიიღო და მასში ჰამულიშვილური გრძნობა იმდენი ყოფილა, რომ „კეთილ და ულზნველელ“ ცხოვრებას ამჯობინა—„დამახინჯებული ენით“, მაგრამ მაინც ქართველ ერს და ბრწყინვალე წარსულის მქონე ქართულ ეკლესიას ემსახოოს? ეს იქნებოდა გემაზაშვილის „პატიოსნური“ საქციელი და მხოლოდ მაშინ ექნებოდა მისი პირიდან წარმოთქმულ გრიგოლ ხანძთელის სიტყვებს მნიშვნელობა.

(მაგონდება, ორიოდე წლის წინ, ბ-ნ ელ. პატარიძეს ძალიან მოკრძალებული და მეგობრული შენიშვნა გაკეთა თავის ჟურნალში პარიზში ღვთისმსახურების შესახებ. მიუხედავათ იმისა, რომ ელიზე პატარიძეს ვერც მამულიშვილური მაღალ მისწრაფებებში, ვერც ღვთისმორწმუნეობაში და ვერც თვით პარიზის მოძღვრის პირად პატეკეცემაში ეჭეს ვერავინ შეიტანს, მაინც პარიზელმა ქართველებმა დიდათ იწყინეს და „აუმხედრდნენ“. გემაზაშვილმა უკვე თითქმის რვა თვეა გამოაქვეყნა თავისი ბიღნო წერილი და არც ერთი საყვედურიც კი არავისგან არა გვსმენია!)

მაგრამ გემაზაშვილის დაგროვილ „ნაღველს“ ვერც ამით უპოვია გამოსავალი. „გამოუცნობი“ გრძნობა მხოლოდ მაშინ უპოვია, როცა თვითმფრინავზე ამავალს შეუნიშნავს „ხაწშიშესოთა სევდიანნი გამოხედვა, ახალგაზრდა ვაეთა უცაბედი იხვრა და ქალწულთა ცეცხლიანი თვალები და ჩუმი ჩურჩული. „რამოდენიმე საათის შემდეგ სამშობლოში იქნებიო... მიწას, მიწას აკოცეთ ჩვენს მაგიერ“... ეხლა კი პოულობს ის გამოუცნობი, ყელს ამოკრეული ბრძოლა ბოროტებასა და ბნელ ძალებს შორის. ეს ბრძოლა ბოლოს ამ ფრაზებზე ამთავრებს: „

ქართული პროპაგანდის საკითხისა- თვის.

(სადისკუსიო მოსაზრებები დოკ. გ. ნაკაშიძეს ორი გამოსვლის გამო).

ქართული ემიგრაციის ორგანიზაციულობა სრულებითაც არ შეიცავს ყველა ქართველების ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში თავმოყრას.

ორგანიზაციულობისათვის ჩვენ გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ მთავარ საკითხებში მოქმედების შეთანხმებას, რომლის შემდეგაც ყოველი პოლიტიკური ორგანიზაცია, თუ ცალკეული ქართველი საერთოდ აღიარებული მიმართულებით იმოქმედებს.

ერთ მთავარ საკითხთაგანად ჩვენ მიგვაჩნია პროპაგანდა: პროპაგანდა შინ და გარეთ.

საზოგადოთ ქართულ ემიგრაციას, მთელი მისი არსებობის მანძილზე, დღეს განსაკუთრებულად მძიმე პირობებში უხდება შრომა და ბრძოლა. ამ დგომარეობას უფრო მეტი სიმძაფრით განეკიდნო, მით უფრო, რომ პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერები განვიდნენ ამა სოფლითგან. დღითი-დღე მრავლდება მტერი და უდიდესი საფრთხის წინაშე ვდგებით. ქართული ემიგრაცია ისე შემოსილტული არა სოდეს არა ყოფილა, როგორც ღღეს არის.

მას ებრძვის რუსული იმპერიალიზმი შიგნი დან; მოსკოვიდან, მთელი თავისი ძლიერი სამხედრო-პოლიციური. პროპაგანდიული და ფინანსიური შესაძლებლობით. ამ ბრძოლაში მა სკვთან ერთად არის, მეგობლოფილიში გაბნეული მრავალრიცხოვანი და ფესვგამდგარი რუსული ემიგრაცია. მდიდარი სომხური ემიგრაცია შემთხვევას არ უშვებს, რათა კავკასიის რუკიდან სრულიად ამოშალოს საქართველოს სახელი. ეს გარემოება „ლეკთაცა აგვიყაოანებს“ და ოსები კვლავ მოგვთხოვენ, „კავკასიის უძლიერესი სამფოს, შემქმნელი, დავით მეფის დროს, ქართველების მიერ მიტაცებულ დოკუმენტების დაბრუნებას“. თუ ამას დაეუმატებთ ხრუშჩოვის პროპაგანდისტების მიერ ნეიტრალიზაცია ქმნილ და „მშობლიურ მიწაზე“, ან მის „პეიზაჟებზე შეყვარებულ“ ქართველებს, რომლებიც დაუსრულებლივ ლრღნიან ემიგრაციის ეროვნულ სხეულს, მაშინ ჩვენი მდგომარეობის სურათი ნათელი იქნება.

ყველა ამ შემოსეული ჭია-ღუტების. თუ ვეფხვების და სპილოების მოგვრიეება, მიზნის კეთილშობილური სამსახური და ქართული საკეთხოს დაყენება, ან მისი განმტკიცება ყოველად შეუძლებელი იქნება, თუ მას ემიგრაციამ დაგვგმილი და გონიერი მეშაობა არ დაუპირდა პირა. განსაკუთრებით იმ ქვეყანაში სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, სადაც ქართული საკითხი ან სულ არ არსებობს, ან მას მხოლოდ ორიოდე წლის ისტორია აქვს და ახლად ფეხადგმული ბავშვივით ქანაობს. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყოველ ჩვენ სიტყვას და ყოველ ჩვენ მიხვრა-მოხვრას.

ჩვენ გვინდა პატივცემულ გ. ნაკაშიძეს ორი გამოსვლის განზოგადება მოვახდინოთ:საკითხი საჯაროთ დავაყენოთ თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი პროპაგანდა? საქმის სიყვარულით, პიროვნების დანდობით და პატივისცემით გაეხსნათ მეგობრული პოლემიკა—ეგრე სასუფველ შედეგს მივაღწიოთ და პროპაგანდის საერთო ხაზი და მიმართულება დავაფუძნოთ.

ბ-ნ გ. ნაკაშიძეს ერთ გამოსვლის შინაური ული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მეტად სანიმუშო და დამახასიათებელი. მისი მეორე გამოსვლა უცხო პრესაში მოხდა და მით უფრო საყურადღებოა.

პირველ, შინაურ წრეში გამოსვლას ადგილი ჰქონდა გასული თებერვლის 24-ს, საქართველოს დაპყრობის 42 წლისთავის აღსანიშნავ კრებაზე.

აქ დოკ. ნაკაშიძემ ვრცელი მოხსენება წაგვიკითხა.

რაც მეტად უსმენდით, იმდენი მეტად გვაკვირვებდა მისი ტენდენციური, სპპოლემიკო საკითხების მაღალმეჩერმეტყველებით განვითარება.

ჩვენ შეჩვეული ვართ ეროვნული ზეიმის თუ გლოვის ისტორიული თარიღის აღნიშვნის დროს ზმიერება დავიცავთ და ისეთი არაფერი ეთქვათ, რომელიც დაარღვევს ჩვენს სულიერ ერთობას. ეს ტრადიცია დიდი ხნიდან არის გაბატონებული ევროპაში.

ბ-ნი გ. ნაკაშიძე პოლონელი ემიგრანტია და ამ საერთო ტრადიციიდან პოლონეთი ცოტა არ იყოს განირჩეოდა.

პოლონეთში ქართულმა მთავრობამ მოაწყო ქართველ ოფიცრების თითქმის მთელი შემადგენლობა: ჯერ სამხედრო სასწავლებელში, შემდეგ პოლონურ ჯარში, განსაკუთრებული უფლების შემონახვით. ქართულ მთავრობას უფლება ჰქონდა თავისი მხედრობა მაშინ გამოეყვანა პოლონური ჯარიდან, როცა მას დასჭირდებოდა. ამ უფლება-მოვალეობით პოლონეთთან დაკავშირებულ ქართულ მთავრობას თავის ხალხის კონტროლის უფლებაც ჰქონდა. ამ უფლების გამოსაყენებლად, ცხადია, ჩვენ მთავრობას უნდა ჰყოლოდა თავისი საკუთარი წარმომადგენლობა-კომიტეტი და ჰყავდა კიდეც, რომელზედაც დიდათ იყო დამოკიდებული პოლონეთში მცხოვრები ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირი, მათი წარმატება და კეთილმოწყობა.

ცხადია, რამოდენიმე ათეულ წელთა მანძილზე ეს გარემოება დაამუშავებდა თავისებურ ტენდენციურ ფსიქიოლოგიას; ევროპიელისაგან განსხვავებულს. აი ამ გვარი ფსიქიოლოგიით წარუდგა დოკ. ნაკაშიძე საზოგადოებას. დოკ. გ. ნაკაშიძეს მოხსენება შემდეგნაირათ შეიძლება დანაწილდეს: 1. ქართველების როლი რუსეთის სოც. დემ პარტიაში და თებერვლის რევოლუციაში 2. რეკოლუციის პერიოდი და დამოუკიდებლობის ხანა, 3. ინგლისური იმპერიალიზმი, 4. საქართველოს რუსეთის მიერ ხელმოწერი 1921 წ. დაპარობა და 5. საქართველოს ისტორიის მომახლეკა.

თითქმის ყველა ეს საკითხები ბ-ნ ნაკაშიძეს განხილული აქვს თავის ინგლისურად გამოქვეყნებულ წერილში და მას შემდეგ შეეხებით. ამ ჟამად კი საჭიროთ მიგვაჩნია შეგნიშნოთ, რომ განცვიფრებაში მოვვლინ, თუ როგორ შეიძლება ქართველი ინტელიგენტი ასე შეეხოს ჩვენს ისტორიას. მჭერმეტყველობის ეშეტაზში შესულმა კატეგორიულად განაცხადა: 1. არასოდეს საქართველო ისე გაერთიანებული არა ყოფილა, თვით დიდებული თამარის დროსაც კი, როგორც 1918—21წ. წ. იყო და 2. მთელს ჩვენს ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო 1921 წ., რომ საქართველო და ამხო უცხო ძალამ; დანარჩენ შემთხვევებში კი დამხობის მიზეზი შინაგანი უთანხმოება იყოო: ფეოდალების და თავადების ერთი-მეორესთან და მეფეებთან ბრძოლა და ამაში დაიმოწმა დიდებული მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი.

ბ-ნ გ. ნაკაშიძემ საქართველოს ისტორია იცის (სამწუხარო მხოლოდ ის არის რომ ასე განიცდის!) და ჩვენი თვალის წინაც უდიდესი პროგრესი გააკეთა ამ მიმართულებით. ამ წერილის ავტორი არ გაკადნიერდება, რომ მას ისტორიის ცოდნა დაუწუნოს, ან შეესწოროს. მაგრამ მაინც საჭიროა გადავხედოთ თვით ისტორიას და ვნახოთ ბ-ნ გ. ნაკაშიძეს კატეგორიული განცხადება არის ცალკეული შემთხვევების განზოგადოება, თუ ქართული ისტორიის ნიშანდობლივი თვისება?

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არასოდეს, არც ერთი შემთხვევა არა ყოფილა ან არაწელებს, ან არაბებს, ან მონგოლებს, ან თურქ სელჯუკებს, ფეოდალი, თავადი, გლეხი, ბერი, ან რომელიმე „წოდებისა და კლასის“ ქართველი შემოქმედოდეს და ამით ცენტრალური ხელისუფლება დაემხოთ. აქ დიდებული მეცნიერის ავტორიტეტის ამოფარება, ცოტა არ იყოს შეუხამებელათ მოგვაჩნია. ბ-მა ნაკაშიძემ შესანიშნავად იცის, და ამისი მაგალითები მიმდინარე ცხოვრებაშიც ვვეძენს: როცა გარეშე ძალა დაამხობს ცენტრალურ ხელისუფლებას, მაშინ ბატონდება „თავს უშველე“-ს პოლიტიკა და ერისა და სახელმწიფოს დამშლელი ძალები თავს იშვებენ. დიდებული ქართველი ისტორიკოსი სწორედ ამას ამტკიცებს, როდესაც თემურ ლენგის მიერ „მოოხრებულ და გაუკაცურებულ“ საქართველოს აგვიწერს და ბრძანებს: „დიდი სტიქიური უბედურობის, ან ძლიერი მტრისგან დამარცხების შემდგომ, ხსნისა და გამოსვლის უიმედობის გრძნობა და შიში ზოგჯერ დამარცხებული, გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის ნების ყოფას სტეხს, სულიერად აკნინებს და ზნეობრივად აძაბუნებს“ დიდებული მეცნიერი თავის ისტორიის ფილოსოფიაში ამ მომენტს უფრო ანვითარებს და ამტკიცებს, რომ ასეთი ბუნება ყოველ ერს აქვს და ყოველი ხალხი ატარებს ამ თვისებასო. ხოლო „ქართველი ერის ისტორიაში“ ხაზგასმით ამბობს: ცენტრალისტური ძალები და ეკლესია ყველა მდგომარეობას იყენებდნენ, რათა სახელმწიფოტრივი მთლიანობა დაეცავთ და როგორც კი გარეშე საფრთხეს თავს აარიდებდა საქართველო, დაუყონებლივ იწყებოდა ქვეყნის შინა აღმშენებლობა და მაგარი ცენტრალისტური ხელისუფლების შექმნის მცდელობაო.

მაშასადამე: საგარეო ძალა, სტიქიური უბედურება, მტრისაგან დამარცხება, აქეთგან გამოწვეული უიმედობა და ამის შედეგად აშლილობა და ტომობრივი ლტოლვა. როგორც ირკვევა ეს არც ყოფილა ქართული ისტორიის ნიშანდობლივი თვისება, არამედ ყოველი ერი ატარებს თურმე ამ ნაკლს.

ჩვენ არ უარვყოფთ ქართულ ისტორიაში ამ საბედისწერო შემთხვევებს და მივტირით მას. მაგრამ აბა დაგვისახელოს დოკ. ნაკაშიძემ ერთი ქვეყანა, რომელმაც ფეოდალური ცხოვრების ეს უკურნებელი სენი თავიდან აიცილინა? კიდევ მეტი: დაგვისახელოს თანამედროვეობაში ერთი ქვეყანა, რომლის ცენტრალური ხელისუფლება გარეშე ძალამ დაამხო და დამპყრობელს დაპყრობილი ერის შვილებში „ერთგული“ არ გამოსჩენია?

ჩვენს ისტორიაში ყველაზე დიდი და ძლიერი ფეოდალი —ლიპარიტი, რომელიც არამც თუ ებრძოდა ბაგრატ მეფეს, არამედ კიდეც აშინებდა მას, განა სუფთა ქართული მოვლენაა? არა ყოფილიყო ბიზანტიის ინტერესები, არ იქნებოდა ლიპარიტი, ეს ხომ ცხადია...

მაშასადამე დებულება რჩება უცვლელი: გარეშე ძალა ამხობს ცენტრალურ ხელისუფლებას და დამამხობელი, ე. ი. უცხო ძალა ყოველ ერში ჰპოვებს თავის ლაქიას, ან გარეშე ძალა წინდაწინ გამოსძებნის სულმდაბალს, რომელსაც გაამაგრებს და აუმხედრებს საკუთარი ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას. ასეთია არა მარტო ქართული, არამედ ყველა ქვეყნის ისტორია, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას ვთქვადა: პირველი შემთხვევა იყო 1921 წ. რომ საქართველო დაამხო უცხო ძალამ. თუ ბ-ნ გ. ნაკაშიძეს ლოღიკას გავყვებით და ორიოდ სულმდაბალ რენეგატს განზოგადებას მივცემთ, მაშინ გამოვა, რომ სწორედ 1921 წ. იყო, მთელ ჩვენს ისტორიაში, რომ დამამხობელი უცხოძალა ქართველებმა მოიყვანეს. ხოლო იმის თქმა, თითქოს საქართველო ისე გაერთიანებული თვით დიდებული თამარის დროსაც არა ყოფილა, როგორც 1918—21 წ. წ. „ცოტა გადაჭარბებულია“, მეტი რომ არა ვთქვად. დიდებული თამარის „ცოდათ“ გაერთიანებული საქართველოს საზღვრები და მისი მოხაკენი ყველას მოეხსენება. იმ დროს ქართული ხმალისა და მკლავის ძალა საქვეყნოდ აღიარებული იყო, ხოლო ნურრადინის მუსულმანური კოალიციის (400.000 ჯარისკაცი) დამარცხების შემდეგ—მთელი მუსულმანური საშყარო დაუმარცხებლად სოვლიდა ქართულ ლაშქარს. სამწუხაროთ ივიეე არ ითქმის 1918 21 წ. „უკეთ გაერთიანებულ“ საქართველოზე რომელმაც 35.000 „ტანშიშველი და ფეხშიშველი“ რუსი ვერ მოიგერია...

რაც შეეხება თბილისის დაცემასთან დაკავშირებით მომხსენებლის მიერ გამოთქმულ აზრს არ გავიმეორებთ. ამაზე არ შევჩერდებით... აქ შეიძლება მხოლოდ მშუხარება გამოვთქვად. ნუ თუ 42 წლის მანძილზე წარმოებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებში ქართველი მხეცრობის სანიმუშო მიძღვნილობის მაგალითები საკმარისი არ არის, რომ ათასჯერ ნაცოხნი კვლავ არ გადავცოხნოდ?!

ან კი განა ეს არის ჩვენი სადღეისო ამოცანები, ეს არის წერტილი, რომელმაც ქართული ემიგრაცია უნდა გააერთიანოს და ის ფონს გაიყვანოს?

არგებს რამეს ქართულ საკითხს ჩვენი ისტორიიდან ცალკეული, თუნდ მართალი, უაყოფითი მაგალითების ამოღება და მისი განზოგადოება?

ეხლა გადავხედოთ ბ-ნ გ. ნაკაშიძეს მიერ უცხო პრესაში გატანილ პროპაგანდას.

(გაგრძელება იქნება)

დ. სინდიკელი.

წერილები რედაქციის მიეართ.

სათვისტომოს გამგეობამ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ შეიძინა საკუთარი სახლი. მისი მისამართია:

GEORGIAN HOME
37-12 — 91 STREET, JACKSON HEIGHTS
LONG ISLAND, N. Y.

იქვე მოეწყო დროებითი თავშესაფარი და სამკითხველო.

თანამემამულეებს ეთხოვთ შემოსწერონ: წიგნები, სურათები და დარბაზის დასამშვენებლად ავეჯი.

ულრმეს მადლობას უცხადებთ ქ-ნ ქ. მიქელაძეს, ბ-ნ არ. კეკელიას და მ. სინდიკელს წიგნების შემოწირვისათვის.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ბ. ბ. ბ. ზალ დასტანიშვილი, რომელმაც შესწირა ოოგინის სამი გამოსაცვალი სრული შემადგენლობით: საბნები, ზეწრები, ბალიშები, ბალიშისპირები და სხ.. ს. გაბუნია, რომელმაც შესწირა: ლოგინი, სკამები, ფარდები და სხ., ალ. ჯინჭარაძე: წიგნებისა და სათაჯახო ნივთების შემოწირვისათვის და მ. სინდიკელი, წიგნების თარიღის შემოწირვისათვის.

სათვისტომოს გამგეობა.

ამ საბედისწერო შემთხვევებს და მივტირით მას. მაგრამ აბა დაგვისახელოს დოკ. ნაკაშიძემ ერთი ქვეყანა, რომელმაც ფეოდალური ცხოვრების ეს უკურნებელი სენი თავიდან აიცილინა? კიდევ მეტი: დაგვისახელოს თანამედროვეობაში ერთი ქვეყანა, რომლის ცენტრალური ხელისუფლება გარეშე ძალამ დაამხო და დამპყრობელს დაპყრობილი ერის შვილებში „ერთგული“ არ გამოსჩენია?

ჩვენს ისტორიაში ყველაზე დიდი და ძლიერი ფეოდალი —ლიპარიტი, რომელიც არამც თუ ებრძოდა ბაგრატ მეფეს, არამედ კიდეც აშინებდა მას, განა სუფთა ქართული მოვლენაა? არა ყოფილიყო ბიზანტიის ინტერესები, არ იქნებოდა ლიპარიტი, ეს ხომ ცხადია...

მაშასადამე დებულება რჩება უცვლელი: გარეშე ძალა ამხობს ცენტრალურ ხელისუფლებას და დამამხობელი, ე. ი. უცხო ძალა ყოველ ერში ჰპოვებს თავის ლაქიას, ან გარეშე ძალა წინდაწინ გამოსძებნის სულმდაბალს, რომელსაც გაამაგრებს და აუმხედრებს საკუთარი ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას. ასეთია არა მარტო ქართული, არამედ ყველა ქვეყნის ისტორია, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას ვთქვადა: პირველი შემთხვევა იყო 1921 წ. რომ საქართველო დაამხო უცხო ძალამ. თუ ბ-ნ გ. ნაკაშიძეს ლოღიკას გავყვებით და ორიოდ სულმდაბალ რენეგატს განზოგადებას მივცემთ, მაშინ გამოვა, რომ სწორედ 1921 წ. იყო, მთელ ჩვენს ისტორიაში, რომ დამამხობელი უცხოძალა ქართველებმა მოიყვანეს. ხოლო იმის თქმა, თითქოს საქართველო ისე გაერთიანებული თვით დიდებული თამარის დროსაც არა ყოფილა, როგორც 1918—21 წ. წ. „ცოტა გადაჭარბებულია“, მეტი რომ არა ვთქვად. დიდებული თამარის „ცოდათ“ გაერთიანებული საქართველოს საზღვრები და მისი მოხაკენი ყველას მოეხსენება. იმ დროს ქართული ხმალისა და მკლავის ძალა საქვეყნოდ აღიარებული იყო, ხოლო ნურრადინის მუსულმანური კოალიციის (400.000 ჯარისკაცი) დამარცხების შემდეგ—მთელი მუსულმანური საშყარო დაუმარცხებლად სოვლიდა ქართულ ლაშქარს. სამწუხაროთ ივიეე არ ითქმის 1918 21 წ. „უკეთ გაერთიანებულ“ საქართველოზე რომელმაც 35.000 „ტანშიშველი და ფეხშიშველი“ რუსი ვერ მოიგერია...

რაც შეეხება თბილისის დაცემასთან დაკავშირებით მომხსენებლის მიერ გამოთქმულ აზრს არ გავიმეორებთ. ამაზე არ შევჩერდებით... აქ შეიძლება მხოლოდ მშუხარება გამოვთქვად. ნუ თუ 42 წლის მანძილზე წარმოებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებში ქართველი მხეცრობის სანიმუშო მიძღვნილობის მაგალითები საკმარისი არ არის, რომ ათასჯერ ნაცოხნი კვლავ არ გადავცოხნოდ?!

ან კი განა ეს არის ჩვენი სადღეისო ამოცანები, ეს არის წერტილი, რომელმაც ქართული ემიგრაცია უნდა გააერთიანოს და ის ფონს გაიყვანოს?

არგებს რამეს ქართულ საკითხს ჩვენი ისტორიიდან ცალკეული, თუნდ მართალი, უაყოფითი მაგალითების ამოღება და მისი განზოგადოება?

ეხლა გადავხედოთ ბ-ნ გ. ნაკაშიძეს მიერ უცხო პრესაში გატანილ პროპაგანდას.

(გაგრძელება იქნება)

დ. სინდიკელი.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მოათავსოთ ჩვენი შემდეგი განცხადება:

დიდი მწუხარებით გავიგეთ გამოჩენილი მწერლის და დიდი მოაზროვნის გრიგოლ რობაქიძეს გარდაცვალება.

ულრმეს მწუხარებას გამოვთქვავთ, რომ ქართულ საზოგადოებას, შინ და გარეთ, გამოაკლდა ქართული კულტურის უდიდესი მოამაგე და ქართული სიტყვის დიდი ხელოვანი.

დოკ. ო. ზალდასტანიშვილი,
ამერიკის შეერთებული შტატების ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე.

ქართულ სათვისტომოში.

გასული დეკემბრის 16-ს, საკუთარ სახლში შესდგა ქართული სათვისტომოს საჯარო კრება, რომელმაც განიხილა „ქართული კერის“ მოწყობის და ორგანიზაციის საკითხი.

ბ-ნმა ალ. ამილახვარმა დაიკენა ალ. სულხანიშვილის სახელით გავრცელებულ წიგნაკის საკითხი. („ხმა სამარილისა“, წითლების მუშაობა ნიუ-იორკის ქართულ კოლონიაში).

ბ-ნი ამილახვარი, როგორც ქაქუცასთან დაალოვებული პირი აცხადებს, რომ ამ წიგნაკში გამოქვეყნებული ცნობები თავიდან ბოლომდე ყალბიაო. ალ. სულხანიშვილი სრულიად გაუხათლებელი და უცოდინარია, მაგრამ ჩვენ არც დრო გვაქვს და არც შესაძლებლება ვარკვიოთ თუ ვინ დაუწერა მას ეს ბოროტად შედგენილი ცილისწამებების კრებული. ვიცით მხოლოდ, რომ სულხანიშვილი არასოდეს არ ითვლებდა ქაქუცას ნდობის კაცად და მას არც შეუძლიან იცოდეს, თუ ქაქუცა ვის და როდის ხვდებოდა. ქაქუცას მოადგილე იყო განსვენებული ელ. ვანსაძე, რომელსაც „ადგილის“ წართმევა მოუნდომა სულხანიშვილმა და ამის გამო მრავალი ინტრიგები მოუწყო და მრავალი ცილი დასწამა.

ალ. სულხანიშვილის წიგნში შეურაცყოფილია მთელი რიგი მამულიშვილებისა, რომლებსაც ჩვენ დიდი ხნიდან ვიცნობთ, როგორც ერთგულ და ენერგიულ პატრიოტებს და ანტი ბოლშევიკურ ბრძოლებში თავგანწირულებს. შეურაცყოფილია თვით სათვისტომოს გამგეობაც. ამიტომ საჭიროა ენერგიული ზომების მიღება და ამ პროვოკაციების და ცილისწამების გამავ
ელებელის მკაცრად დასჯაო.

მსჯელობის შემდეგ, კრებამ გაითვალისწინა რა, რომ სულხანიშვილი ადრეც იყო მრავალჯერ შემჩნეული, აქაც და ევროპაშიც, რომ დამოუკიდებლათ, თუ ვიღაცის ჩაგონებით იგონებდა ჭორებს, ცილსა სწამებდა და ამეზღვიდა თანამემამულეებს და ქაქუცას გარდაცვალების შემდეგ მისი მოქმედება ყოველთვის იყო საეჭვო ხალხთან და საეჭვო მიმართულებით განვითარებული—ერთხმად (ორის თავშეკავებით) დაადგინა გაირიცხოს სათვისტომოდან და განაჩენი ეცნობოს, როგორც ქართულ საზოგადოებას, ისე შეერთებული შტატების სათანადო ორგანოებს.

თანახმად კრების დადგენილებისა განაჩენი მთლიანად იქნება ეამოქვეყნებული.

მეთვალყურე.

იანვრის 6-ს, სათვისტომოს გამგეობამ მოაწყო ქართველი ბავშვებისათვის შობის ხე.

სასიამოვნო იყო ოცამდე ქართველი ბავშვის ერთად ხილვა. ბავშვებმა წარმოთქვეს ლექსები, იმღერეს და იცეკვეს.

დიდი მადლობა ეკუთვნის ქ-ნ ე. ცომაიას, სბავშვო დღის კარგათ მოწყობისათვის და სამშობლოდ ჩატარებისათვის.

იანვრის 27-ს სათვისტომოს გამეობამ გადა იხადა საქართველოს განმანათლებელ წმინდა ნინოს დღე.

დღის 12-ს. ბერძნების კათედრალში ღვთის მსახურება შეასრულა ეპისკოპოსმა იაკოვოსიმ ქადაგებაში მან აღნიშნა წმინდა ნინოს ოოლი საქართველოს მოქცევაში და ქართველი ერის დიდი დამსახურება ქრისტიანული კაცობრიობის წინაშე. დასასრულს მან განაცხადა, რომ მათ ჰყავთ მოძღვარი, რომელმაც იცის ქართული ენა და მომავლისთვის ქართულად შეასრულებს ღვთისმსახურებასო.

შემდეგ ქართულ სახლში გაიმართა საერთო სადღეო, რომელსაც დაესწრნენ უცხოელებიც.

დიდი მადლობის ღირსნი დღევანდელი გამგეობა სათვისტომოში „ოჯახური“ და მეგობრული ატმოსფეროს დამყარებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუცილებელი არჩევანი.

სიტყვების და იდეების გარდა, არსებობენ ცხოვრების გარდაუვალი კანონები და ბუნებრივი საერთაშორისო დამოკიდებულებანი სახელმწიფოთა შორის. ადრე თუ გვიან მათი ჯერიც მოვა და მათი გავლენა მსოფლიო პოლიტიკაზე თანდათან უფრო საკრძნობი გახდება. ღიღ ყველასათვის აშკარა არის, რომ შემაღლარ აზროვნების და ყალბ მოძღვრების წინაშე უკან დახევა და დათმობა. უვარგისი და მავნებელი გამოდგა.

მშვიდობიანობის სურვილით ომის საშიშროების თვალის არიდება და განიარაღებაზე ოცნება, საფრთხეს უფრო ადიდებს და აახლოვებს.

ის მოძღვრება კი, რომ კლასობრივი ბრძოლა და ერთგნებათა გათელვა, კაკობრიობას ბედნიერებას მოუტანდა, უდიდესი შეცდომა აღმოჩნდა და მსოფლიო კრიზისების მიზეზად იქცა, რომლებსაც ეს ყალბი აზროვნება ჰბადებს, აღვივებს და ამრავლებს. მოაზროვნე და მმართველი წრეების, ეს ღრმა შეცდომა, როგორც თითქმის ერთი საუკუნეა ხელოვნურად ვრცელდებოდა, დღეს განსაკუთრებით მძინვარებს და აფერხებს კაკობრიობის გამრთელებას და განვითარებას.

დასავლეთის საუკეთესო წარმომადგენლები რომ მთელი მათი შეძლებით არ ილაშქრებენ ასეთ საშინელ საფრთხის წინააღმდეგ, ეს კიდევ უფრო ხელს უწყობს მომავალ კრიზისს.

რამდენ ხანს გასძლებს თავისუფალი მსოფლიოს უდიდესი ნაწილი ჩაფლული ყალბ აზროვნების ჭაობში? კიდევ რამდენ ხანს დაყოვნდება მისი აზროვნების განახლება და გაჯანსაღება? როცა აშკარაა, რომ დაგვიანება თვით თავისუფალ მსოფლიოს არსებობას წარეკვეთ ემუქრება.

დღეს არსებობს მძაფრი კრიზისი კომუნიზმის ისტორიაში: მოსკოვი იძულებულია აირჩიოს თუ საით განაგრძოს სვლა?

ოგივე საკითხი დგა დასავლეთის წინაშე. კომუნისტურ სამყაროს და დასავლეთის წინაშე ოგივე ამოცანაა: **თუ როგორ შექმნას თვითეულმა მეტოქემ** თავის გავლენის სფეროში, სახელმწიფოს და ერთა შორის მკვიდრი ურთიერთობა, რომელიც **მიმზიდველი და ნაყოფიერი უნდა იყოს** მათთვისაც ვინც ამ **სიეროს გარეშე არიან**, რომ მათიმმხრობით **წონასწორობა** თავის მხარეზე გადახარონ. ასე იქნება თუ ისე, **აუცილებელი** მოთხოვნილება არსებობს, შეიქმნას რაიმე ახალი, 1914 წლის ომამდე არსებულ წყობილების სამაგიერო. ახალი ძალთა დარაზმეა და წეს-წყობილება ეროპაში და მთელ მსოფლიოში.

კომუნისტურ სამყაროში და თავისუფალ დასავლეთშიაც **ეროვნული** ძალები ებრძოლ და ეთარგდება ყოველგვარ დამპარკოლებელ პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო პიპობების მიუხედავად. ორთავე სფეროში მმართველი წრეები იძულებული არიან ებრძონონ, რომ შეახამონ სხვა და სხვა განვითარების საფეხურზე მდგომი ერების და საზოგადოებათა ინტერესები და მისწრაფებანი.

რომლი ბანაკი გამოიჩენს მეტ უნარს? რომ შეათანხმოს, დღევანდელ მსოფლიო მდგომარეობაში. ერთგნებათა მისწრაფებანი და მათი ურთიერთ დამოკიდებულებანი და ამავე დროს, საერთო სახელმწიფოებრივ ხელისუფლების ქსელში ჩაბას დაკმაყოფილებული ერები?

საკითხი ის არის თუ ვისი ნება-სურვილით მოხდება ეს და რა პრინციპზე დამყარდება ახალი წყობილება? მუდლების და პეტრე დიდის ნაარდეძიე პრინციპზე თუ ამერიკელი ერი გამოიყენებს წინაპართა მონაპოვარს და დროზე მოიხმარს ისტორიის მიერ მინიკეპულ როლს, დიადი მიზნის დასაგვრგვინებლად?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დასავლეთის ბანაკს დიდი უპირატესობა აქვს ამ მხრივ. მისი წესწყობილება დამყარებული წევრთა და ჯგუფთა თავისუფალ შეთანხმებით მოღვაწეობაზე, მას შეძლებას აძლევს შექმნას მსოფლიო ასპარეზზე, რთული, მაგრამ მკვიდრი დამოუკიდებელ ერების საზოგადოება, რომელნიც სხვა და სხვა დონეზე დაკავშირებული, მათი ინტერესების მხრივ და სხვადასხვანაირად, ურთიერთ დამოკიდებულნი, მათი მდებარეობის, მოცულობის და მნიშვნელობის მიხედვით, საერთაშორისო ვალდებულებებს სიხარულით გაიზიარებენ.

კომუნისტური სამყარო კი, თავიდანვე დიქტატორულ ფესვებზე აღმოცენებული, რომელიც ცენტრალიზმს და პოლიციური ძალმომრეობით იძულებს თავს ვერ აღწევს, ვერ შეძლებს შექმნას მრავალნაირად შეთანხმებული თავისუფალ ერების ჰარმონიული და მკვიდრი საზოგადოება.

დღეს ამერიკის ერს აქვს შეძლება გარდამწყვეტი გავლენა იქონიოს მოსკოვის საბოლოო

სათვისტომოს ცხოვრებიდან.

თებერვლის 24-ს სათვისტომოს გამგეობის თათსნობით მოეწყო საქართველოს დაპყრობის 42-ე წლისთავის აღსანიშნავი კრება.

სათვისტომოს თავმჯდომარე—დოკ. ო. ზალდასტანიშვილმა საზოგადოებას მოაგონა რა მოხდა 42 წლის წინ და განაცხადა: „მე დიდათ მოხარული ვარ, რომ ჩვენ ისტორიულ თარიღებს—საზეიმოს თუ სამწალოვიროს არ ვიგიწყებთ. ამ თარიღების ხსოვნა მარტო წარსულის მოგონება არ არის, არც მარტო მისი პატივისცემა, არამედ ამ თარიღების ხსოვნა მომავალსაც ნიშნავს... ღრმა რწმენას, რომ ჩვენი სამშობლო კვლავ აღსდგება, კვლავ განთა ვისუფლდება და კვლავ შეიქმნება დამოუკიდებელი. ეს რწმენა კი თავისთავად ბევრ რამეს ვგვაღლებს.

უპირველეს ყოვლისა გვავალებს მასზე ფიქრს, ზრუნვას, შრომას, და ბრძოლას. მოვლენების მიხედვით იცვლებან დასაკეთილი მოღვაწეობის აზრი და განწყობილებაც. თვით ამ ქეეყანაში, სადაც ჩვენნ ვცხოვრობთ, უკანასკნელ ერთ წელიწადში ბევრი რამ გამოიცვალა. იქ სადაც ერთი წლის წინ, ან სულ არ დაგელა პარაკებოდნენ საქართველოზე, ან—თუ სიტყვას მაინც ჩამოაგდებდი, იროინიულად გიყურებდნენ, დღეს არამც თუ გულდასმით გისმენენ, არამედ თითონ გძებნიან და გეკითხებიან.

შეცდომაა ვიფიქროთ, თითქოს დიდ კოალიციათა დაპირდაპირებაში საქართველო იმდენათ პატარაა, რომ მას ყურადღებას ვინ მიაქცევს. ჩვენ ვიცით, რომ პატარა ნაპერწკლიდან დიდი ხანძარი გაჩენილა. ისტორიას ბევრი მაგალითი ახსოვს, პატარა ერის, გარშემო დიდი ძალების ამორავების. შორს რომ არ წავიდეთ ჩვენს გვერდში მყოფი კუბის მაგალითიც საკმარისია. მართალია კასტრომ ისე წაიყვანა სა ქმე, რომ ის უნდა დაიღუპოს, მაგრამ ამით ფაქტი არ იცვლება. სულ პატარა კუბამ ამამძრა ეა დასავლეთ-აღმოსავლეთის დარაზმელობა და დღეს მათი ყურადღების ცენტრშია.

სრულებითაც არ არის გამორიცხული შესაძლებლობიდან, რომ ხვალ საქართველო მოექცეს ამ დიდ კოალიციების ყურადღების ცენტრში. ამისათვის საჭიროა გვქონდეს მტკიცე, მოძრავი და მომქმედი ორგანიზაცია. მხოლოდ ორგანიზაციული სიმტკიცით შეგვიძლიან მიზნის მიღწევა. დღეკანდელ დღეს თავმოყრა და საზოგადოთ ისტორიული თარიღების აღნიშვნა ჩვენ გვაერთიანებს და საფუძვლად ედება ქართული ორგანიზაციის განმტკიცებას.

ჩვენ არამც თუ უნდა მიეყვეთ მოვლენებს, არამედ წინაც უნდა გაუსწროთ; ადრე უნდა გავითვალისწინოთ და ის ჩვენ სასარგებლოდ გამოვიყენოთ. თუ ჩვენ გვექნება მტკიცე ორგანიზაცია, თუ შეეძლითო მოვლენათა წინასწარი განჭვრეტა და ვიმოქმედნდთ დინჯათ, მოფიქრებულათ და გაბედულათ. შევასრულებთ ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობას და ჩვენი სამშობლოს გასთვისუფლებას დიდათ შეგვიძლიან შეეწყოთ ხელოო".

ამ განმარტების შემდეგ სიტყვას აძლევს მომხსენებელ ბ-ნ გ. ნაკაშიძეს.

ბ-ნმა გ. ნაკაშიძემ ვრცელი მიმოხილვა გააკეთა: საქართველოს ისტორიის, რუსეთის რეგიონლიკის და საქართველოს დამოუკიდებლობის ხანის.

ჩვენი მკითხველი წინამდებარე ნომერშივე გაეცნობა ბ-ნ გ. ნაკაშიძეს მოხსენების ბამ ზოგიერთ მოსაზრებებს, აქ კი აღვნიშნავთ, რომ, როდესაც თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბ-ნ გ. ნაკაშიძეს მოხსენებისათვის განაცხადა: „მადლობასთან ერთად არ შეიძლიან ერთი შენიშვნა მაინც ეხლავე არ გავაკეთო. პროფ. ნაკაშიძეს განცხადება, თითქოს 1921 წელში ომი წავაგეთ სამხედრო სპეციალისტების ნაკლულოვანების ბამ, არ მიმაჩნია ისტორიულ სიმართლედ. იმ დროს ჩვენში თავმოყრილი იყო რუსეთის მთელ საიმპერიო ჯარში სახელგანთქმული და დიდ ავტორიტეტებათ მიჩნეული მხედრობა. ჩემის აზრით, ომი წავაგეთ არა იმიტომ, რომ სამხედრო, ან სხვა სახის სპეციალისტები გვაკლდა. არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ვერ შევძელითო მტკიცე ორგანიზაციის შექმნა, რომლის აუცილებლობა და მნიშვნელობა ჩემს შესავალ სიტყვაში მოგახსენეთ"-ო.

ამით კრება დასრულდა. თანახმად უკვე შექმნილი ტრადიციისა დამსწრეთ გამგეობა გაუმასპინძლდა მსუბუქი საუზმით.

დამსწრე.

არჩევნებზე და ამ გავლენის დროზე მოხმარით მოსკოვს თავისუფალ ქეეყნებზე გაბატონების საშუალება მოუსპოს.

ეს ორი ისტორიამ ამერიკის დიდ დემოკრატიას მიანდო. შესძლებენ ამერიკის დღეკანდელი ბელადები დროზე მიიღონ საჭირო ზომები, თუ გართულნი ყოველდღიურ საქმიანობით მოუცდიან. რომ ძველი ეეროპის ბელადებმა გაკაფონ გზა და ფონი გამონახონ?

კოლ. ნ. თოხაძე.

იქაური და აქაური.

პოპულარულ სამეცნიერო ჟურნალ „ფეიტი"-ს ცნობით (ჩიკაგო ივნისის 1-ლს 1962წ.) ხუთი საბჭოთა კოსმონავტი, საბჭოეთის მიერ კოსმოსში გატყორცნილი, მიწაზე აღარ დაბრუნდნენ და პლანეტარულ სივრცეში გაჭქრნენ. ჟურნალი ასახელებს სამს: 1. ტერენტი შიბორინი „ლუნიკ" მეორეს პილოტი გატყორცნილ იქმნა 1959 წლის თებერვალში. იძლეოდა ნაშნებს 28 წუთის განმავლობაში, შემდეგ გაქრა.

2. პეტრე დოლგოვი 1960 წელში. გატყორცნის შემდეგ იძლეოდა ნიშნებს 30 წუთის განმავლობაში. პ. დოლგოვმა 1958 წელში დაამყარა პარაშუტით გადმოხტომის რეკორდი. მასზე ხშირად სწერდნენ, როგორც რეკორდსმენზე. 1960 წლის გაფრენის შემდეგ დოლგოვს და მის რეკორდს საბჭოთა პრესა აღარ იხსენიებს.

3. მიხეილ ზოვადოვსკი დაიკარგა 1961 წელში. ორი კოსმონავტი ქალი და კაცი (რომელთა ვვარები უცნობია) 1961 წლის მაისის 17-ს ერთად გაფრენილი გაჭქრნენ ჯუზო-უკვლოდ სტრატოსფეროში.

ამ ცნობებს დასტურებს შვეიცარიის ყოველკვირეული ჟურნალი „ფილ ვეტეროხე" რომლის კორესპონდენტი ლაზერო, ზემოდ აღნი შნულ გამჭრალ საბჭოთა კოსმონავტების რიცხვს უმატებს შემდეგ ოთხს: ალექსი ბელოკონოვი, ივანე კაშერი, ალექსი გრიაზევი და გენადი მიხაილოვი. მისივე ცნობით, ერთი რუსული მაზხალა დაიწვა გატყორცნისთანავე, ორი კი სტრატოსფეროში. სამივეში იყვნენ ადამიანები.

ასეთ მარცხებს **რუსები არ ამეღავნებენ.** მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ისენი იძულებული გახდნენ, (რადგან დალუპულები დიდი თანამდებობის პირები იყვნენ) დიდი და გვიანებით გამოქვეყნებინათ საჰაერო მინისტრის მოადგილის, ავიაციის მარშალის და მასთან ერთად რამოდენიმე გენერლის დაღუპვა—ადგილის, დროის, პირობების და მიზეზების აუხსნელად—„ფეიტის" „ველტვოხეს" და სხვათა ცნობები, არ შეიძლება გვეჭვნოს სიმართლეს მოკლებულად.

***

ერევანი-თბილისის რეისის თვითმფრავეის პილოტს, აეროდრომიდან აფრენის რამოდენიმე წუთის შემდეგ თავს ოაესა, დანიბით შიიარაღებული სამი ახალგაზრდა სომეხი და უბრძანეს ოსმალოთაში გაფრენა. პილოტმა მოახერხა უცკბ „ჩაყვინთვის" მანევრის გაკეთება და სასწრაფოთ უკან დაეშვა აეროდრომზე. გამართულ ბრძოლაში ერთი თავდამსხვლთაგანი—მოვსიანი, მოკლეს, ორს კი ფეხები აღმოაჩნდათ მოტეხილი და შეიპყრეს. ის ოკანასკნელნი: თუმანიანი და სიკოიანი ეხოთახნ გაასამართლეს და სიკვდილთ დასჯა მიესჯათ, მიუხედავათ იმისა, რომ „გულწრფელად აღიარეს" რომ ისენი „შეაცდინეს" ამერიკელ კაპიტალისტებმა. პილოტ ბაშკინიანს კი ებოძა საბჭოთა „გმირის" წოდება.

თურმი სამეი ახალგაზრდა იმ ოჯახის ეკუთვნოდნენ, რომლებსაც 1946 წელში სტალინმა საბჭოთა მოქალაქეობა უოხად და ახალ სამშობლოში „საამური ცხოვრება" ათოთქვალაბათ ყველას ახსოვს ისიც, რომ 1957 წელში. როდესაც ერევანში საფრანგეთის დელეგაცია ჩავიდა, მაშინდელი საგარეო მინისტრის—ქრისტიან პინოს თავმჯდომმარეობით—სწორედ ამ, უკვე ათი წლის წინ სამშობლოში დაბრუნებულებმა დელეგაციის ირგვლივ გამბული ჩეკისტების წრე გაარღვიეს და ფრანგებს თვალცრემლიანი ეეედერბოდნენ „გეი შვიელეთ, საფრანგეთში დაგვაბრუნეთო".

მათ ამ „თავხედობისათვის" აჩეენეს კიდევ ახალი ჭვეეენი რუსეთის ჩრდილოეთში. დღეს კი მათ შვილებს—იმავე სურვილისათვის ტყვეებით ცხრილავენ.

ესეც შენი „ახალი სამშობლო და საამური ცხოვრება".

***

აღმოსავლეთ და დასავლეთ ბერლინის მიჯნაზე „სამარცხვინო და პროვოკაციის" კედლის აგებამდე აღ. გერმანიიდან, დღეში დაახლოვებით ათასი კაცი გამორბოდა. ახლა კი „გადაუვალი" კედლის ასტეკი ზემოდის მიღების შემდეგ—გადმომსვლელთა რიცხვი ძლიერ შემცირდა.—მაგრამ 1962 წლის პირველ სამ თვეში (ოფიციალური ცნობებით) მაინც უდრის 5649-ს, მეორე სამ თვეში კი 4273 კაცს. გადმოსვლის დროს დაპატიმრებულთა რიცხვი კი აღწევს 2000-ს.

უთვალავი გვრიბაი ბ ხვრელი იქმნა გამოთხრილი კედლის ქვეშ და არავინ იცის, რამდენი ასეთი გვრიბაი ან ხვრელი „ჩავარდა" და რამდენი კიდევ მოქმედობს. კედლის მეორე მხარეზე გათხარეს თხრილები და ააგეს ბარიკადები.

ამ სამუშაოების შესრულების დროს დასავლეთის ჟურნალისტები ხედავდნენ შემდეგ სურათს: ერთ ადგილას მუშაობდნენ 40 წლოვანების მუშა-ჯარისკაცი. მათ უკან იდგა 200 თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული მცველი,—მცველების უკან კი ტანკები და ცეცხლის მქრობელი რაზმი. ეს ყველაფერი იმისათვის, რომ რომელიმე მიწის მთხრელი ჯარისკაცი „სამშობიდან" „ჯოჯოხეთში არ გადამტეარიყო. ამ კედელთან ყოველ დღე და ღამ არის განგაში, სროლა და სახალხო პოლიციის, ანუ „ფოპოების" ალმასნიგზე ნადირობა.

მეტად სახიფათოა მდ. შარი, გადმოცურვა. სახალხო პოლიცია ყოველგვარ მძრაობას უთვალთვალებს (ღამე პროჟექტორებით) და თუ რამე წყალში გაინძრა, სროლასა სტენენ. მიუხედავათ ამისა,მაისში 18-მა კაცმა და ქალმა წითლების ნაპირზე მოიტაცეს გეზი, თავის კაპიტანთ და ეკიპაჟთ და სახალხო პოლიციის ცეცხლის ქვეშ დასავლეთში გადმოვიდნენ.

უკანასკნელი ცნობებით სექტემბრის პირველ ნახევარში მოხდა,—ხვრელის საშუალებით—სამი დღის განმავლობაში ორი ჯგუფუფური გადმოსვლა: ერთხელ 30 კაცი და მეორეთ 29. ამავე დროს კედელთან მოხდა აფეთქებები წინასწარ შეწყობილი ნაღმებით, რათა სახალხო პოლიციის ყურადღება სხვა მხრივ ყოფილიყო მიპყრობილი.

„საამური" ცხოვრებიდან გაქცევა ხდება არა მხოლოდ გერმანიაში; ათასობით და ათეული ათასობით გამორბიან წითელი ჩინეთიდან ჰონგ-კონგში, იუგოსლავიიდან იტალიაში და სხ...

ქართული სათვისტომოს გამგეობა გვთხოვს განვაცხადოთ, რომ სათვისტომოს წლიური საანგარიშო კრება დანიშნულია ამა წლის მარტის 31-ს, ნაშუადღეევის სრულ 3-საათზე სათვისტომოს საკუთარ სახლში.

რედაქციისგან.

გასულ 1962 წლის გაზეთებში „ქართული აზრი"-ს რედაქციამ მიიღო შემდეგ პირთა გან შემოწერიოულება, რის გამოც რედაქცია ულრმის მადლობას უცხადებს.

1. გ. გაბლიანი—330 დ. ო. ზალდასტანიშვილი—100 დ. დ. ჩ—რა—100 დ. გ. ზალდასტანიშვილი—50 დ. ნ. თოფურია—30 დ. ს. ბ.—30 დ. ა. კეკელია—21 დ. დ. ალავიძე—22 ს. გაბუნია—20 დ. ა. ჯინი—10 დ. გ. ნაკაშიძე 10 დ. ვ. სანგულია—10 დ. ვ. ძამია—10 დ. პ. კვარაცხელია—10 დ. ნ. ცინცაძე—5 დ. ნ. შარმადანიანი—10 დ. გრ. აბულაძე—5 დ. ვ. ზარაბიძე—10 დ. პოლ. ალ. ყიფიანი—2.85, ვ. კობახიძე—3 დ. ნ. კვაჭაძე—3 დ.

რედაქცია იმედს გამოსთქვამს, რომ ქართული პრესის მოყვარული თანამემამულეები არც მომავალში მოგვაკლებენ თავის ყურადღებას.

გასული თებერვლის 24-ს. ნიუ-იორკში გარდაიცვალა ყოფილი ქართული სამხედრო სკოლის მოსწავლე, პოლონური ჯარის ოფიცერი

ვახტანგ აბაშიძე.

„ქართული აზრის" რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართულ საზოგადოებას და ულრმეს თანაგრძნობასა და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

„ამერიკულ-უკრაინული პრესა" ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს ქართულ ენაზედაც.
114 St. Mark,s Place New York 9, N. Y.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Mr. G. Djakeli
561 W. 141 St., N. Y. C.

ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწერილობები.

EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia.
EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.